ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

**15 ოქტომბრიდან!**
**ვფ[ფქბ სფჯ,ფ4 +**
საქართველოს
სამოციქულო *
ეკლესიის **ქფჰბ**
ისტორია – **ნჯვბ !**

jhif,fsb7 !% jmnjv,thb7 @)!@ 1245 (5935) afcb5 #) stshb

# ახალი მთავრობის სრული შემადგენლობა ხვალ გახდება ცნობილი


გვ.3

## ხათუნა ხოფერია: ქვანიას სიკვდილთან დაკავშირებით ბევრ საინტერესოს გაიგებთ“

რა შანსები აქვთ ნაციონალებში ფეხმოკიდებულ ქვანიას ყოფილ მეგობრებს


გვ.3

## გორში, ხაშურსა და სიღნაღში განმეორებითი არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდა

გვ.7



მურმან დუმბაძე: აჭარის პირველი პირი ქართული ოცნების“ წევრი უნდა გახდეს!“ გვ.4



ლევან რამიშვილი: ვფიქრობ, ნაციონალურ მოძრაობას“ ძველ პოზიციებზე დასაბრუნებლად ძალიან დიდი დრო დასჭირდება“ გვ.7



მალხაზ გულაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ გვ.3



სოსო ცისკარიშვილი: ნაციონალური მოძრაობა რევანშისთვის ნამდვილად ემზადება“ გვ.2


გვ.2

ილია II: უფალი განსაცდელს მას უგზავნის, ვინც უყვარს“

## ივანიშვილი სვეტიცხოველში ოჯახთან ერთად მივიდა

გვ.2




გვ.6

პეტრე მამრაძე: სააკაშვილი დაპატიმრებას ელოდება“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** გელა კვაჭანტირაძე: ნაციონალები ქვეყნის მართვის ბერკეტებს იოლად არ დათმობენ!“

**4** დავით ფაცაცია: სააკაშვილის ტაშისმკვრელი წერედიანი მინისტრად არ უნდა დაინიშნოს!“

**11** ლატვიის პრეზიდენტმა თანამემამულეებს რუსული ენის შესწავლისკენ მოუწოდა

**2** გია ხუხაშვილი პოლიტიკიდან წასვლაზე განცხადებას დღეს გააკეთებს

# ილია II: უფალი განსაცდელს მას უგზავნის, ვინც უყვარს“




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თქმით, საქართველო განსაცდელში მრავალჯერ ყოფილა, თუმცა, უფალს იგი ყოველთვის გადაურჩენია.

აღნიშნულთან დაკავშირებით პატრიარქმა სვეტიცხოვლის ტაძარში ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ ქადაგებისას განაცხადა და მრევლს სვეტიცხოვლობის დღესასწაული მიულოცა.

მისი თქმით, განსაცდელის არავის უნდა შეეშინდეს, რადგან უფალი განსაცდელს მას უგზავნის ვინც უყვარს.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც უფალმა განსაკუთრებული მადლი მიანიჭა, რადგან არსად არაა იმდენი სიწმინდეები, რამდენიც საქართველოში.

„ჩვენს წინაა წმინდა ნაწილები, რომელიც ეკუთვნოდა მეფე დავით აღმაშენებელს. როდესაც ჩვენი დიდებულები მიდიოდნენ საზღვარგარეთ, მოჰქონდათ არა ოქრო და ვერცხლი, არამედ, წმინდა ნაწილები, რადგან გრძნობდნენ მათ წყალობას“ – ბრძანა პატრიარქმა და აღნიშნა, რომ უცხოელები საქართველოში მორწმუნეების რიცხვის განსაკუთრებულ ზრდაზე საუბრობენ.

უწმინდესის თქმით, ეს არ არის დამოკიდებული პატრიარქსა და წმინდა სინოდზე. როგორც მან აღნიშნა, ეს იმის დამსახურებაა, რომ საქართველოში უფალი მეფობს და ხალხს მოუწოდებს უფლისკენ ისწრაფვონ.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, საქართველოს დღეს დიდი სულიერი ძალა და მადლი სჭირდება.

„ჩვენ გვჭირდება დღეს უპირველეს ყოვლისა სულიერი ძალა, სიყვარული, სასოება, იმედი ღვთისა, იმედი ადამიანისა, იმედი მომავლისა. მინდა გითხრათ, რომ საქართველო განსაცდელში მრავალჯერ ყოფილა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს უხსნია ამ განსაცდელისაგან“ – ბრძანა უწმინდესმა.

ქადაგების დასრულების შემდეგ პატრიარქმა მრევლთან ერთად ლოცვა „მომყალებისა კარი განგვიღე“ აღავლინა. უწმინდესმა აღნიშნა, რომ ამ ლოცვას განსაკუთრებული ძალა აქვს და მან მონღოლების შემოსევის დროს საქართველო გადაარჩინა.

პატრიარქმა მღვდელმონაზონი ელიზბარ გურაშვილი ოქროს ჯვრითა და იღუმენის ხარისხით დააჯილდოვა. სვეტიცხოვლის ტაძარში წირვა-ლოცვას კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ოჯახთან ერთად ესწრებოდა.

ნიუსპრესი

# სოსო ცისკარიშვილი: ნაციონალური მოძრაობა რევანშისთვის ნამდვილად ემზადება“

**„საქართველოს პრეზიდენტი ნაციონალური მოძრაობის მესვეურთაგან ყველაზე მშვიდობიანია, მაგრამ მის გარემოცვაში რომ რევანშისტები ჭარბობენ, ეს ზედმეტ დასაბუთებას არ საჭიროებს. სააკაშვილის შესაძლო რევანშიზმი გამოწვეული იქნება მხოლოდ მისი გუნდის, იმ ე.წ. ქორების მიერ, რომელთაც არათუ ხელისუფლებაში, არამედ საქართველოშიც კი არაფერი ესაქმებათ“, – აცხადებს „ნიუსპრესთან“ საუბარში პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი, რომელსაც მთავრობის ახალ შემადგენლობასა და ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ვესაუბრეთ.**



**სოსო ცისკარიშვილი:**

– ივანიშვილის მიერ წარმოდგენილი ახალი მთავრობის შემადგენლობის ძირითადი მახასიათებელი თვისება პირადი პატიოსნება და მაღალი მოქალაქეობრივი შეგრძნებებია. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მათგანს ცხოვრების გზაზე რაიმე ტიპის შლეიფი მოსდევდეს, რომელიც მისთვის სათაკილო ან მოსახლეობისთვის მიუღებელი იქნება. ერთადერთი, შესაძლებელია, რომ ვიღაცას ამა თუ იმ კანდიდატის გამოცდილებასთან დაკავშირებით ჰქონდეს პრეტენზია.

***– მიუხედავად ამისა, მისაღები იქნება თუ არა საზოგადოებისთვის ახალ მთავრობაში შევარდნაძის დროინდელი კადრების ხილვა?***

– საზოგადოებამ, რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი, პირველ რიგში შეფასება უნდა დაიწყოს სააკაშვილისგან. სწორედ ის გახლდათ შევარდნაძის დროინდელი მინისტრი და შევარდნაძის დროის საპრლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელი.

ამასთან, როდესაც აბსოლუტურად დისკრედიტირებულ სისტემას სათავეში უდგას ადამიანი, რომელსაც აქვს მართვის პოზიტიური გამოცდილება და გახლავთ იმ დარგში ბევრად უფრო კომპეტენტური და ადეკვატური ვიდრე მისი წინამორბედი, ამ შემთხვევაში, „შევარდნაძისდროინდელობის“ ნიშნით ადამიანების დაწუნება, თვით ასეთი შემფასებებლების ხინჯის მაჩვენებელი იქნება. ჩვენ უნდა ვიყუროთ წინ, მაგრამ არ უნდა დავკარგოთ, ის, რაც გვქონდა.

***– რაც შეეხება სააკაშვილისა და ივანიშვილის შეხვედრას, როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?***

– როგორც ვიცი, ლიდერებს ჰქონდათ გარკვეული დრო მოწმეების გარეშე ესაუბრათ. აქედან გამომდინარე, იმის თაობაზე, თუ რაზე იყო საუბარი, ჭორიც უფრო მეტია. მითუმეტეს, ამ თემაზე კომენტარი არცერთ მათგანს არ გაუკეთებია.

***– კულუარული ინფორმაციით, სააკაშვილმა ივანიშვილს ხელშეუხებლობის გარანტია სთხოვა.***

– ჩემი აზრით ეს უფრო ზოგიერთი ავტორის სურვილის მაჩვენებელია. სააკაშვილს აქვს საკმარისი რესურსი, რომ ივანიშვილისთვის მსგავსი ინფორმაცია თუნდაც საერთო ნაცნობების მეშვეობით გადაეცა. არამგონია, ამ თემაზე შეხვედრისას დრო დაკარგულიყო.

***– ძალიან ბევრს საუბრობენ სააკაშვილის შესაძლო რევანშზე, როგორ ფიქრობთ, მისი აღიარება არჩევნებში დამარცხების შესახებ, ხომ არ იყო მხოლოდ გარკვეული სცენარის ნაწილი?***

– საქართველოს პრეზიდენტი ყველაზე მშივდობიანია „ნაციონალური მოძრაობის“ მესვეურთა შორის, მაგრამ მის გარემოცვაში, რომ ჭარბობენ რევანშისტები ეს ზედმეტ დასაბუთებას არ საჭიროებს. სააკაშვილის შესაძლო რევანშიზმი გამოწვეული იქნება მხოლოდ მისი გუნდის, იმ ე.წ. „ქორების“, მიერ რომელთაც არა თუ ხელისუფლებაში, არამედ საქართველოშიც კი არაფერი ესაქმებათ.

***– ანუ სააკაშვილი არა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობა“ სამაგიეროს გადახდისთვის ემზადება?***

– „ნაციონალური მოძრაობა“ ნამდვილად ემზადება, თუმცა, არა სრული შემადგენლობით.

***– კონკრეტულად, ვინ მოიაზრება ამ ეტაპზე „შურისმაძიებლად“?***

– ყველა ის „ნაციონალი“, ვისაც კონფრონტაცის გარდა არანაირი რესურსი აღარ გაჩნია. ვინც ისე მოირგო სახელმწიფო ხაზინა, რომ უიმისოდ სუნთქვა უჭირს. და ისინი, ვისაც უარი აქვს ნათქვამი საკუთარ სინდისზე და მხოლოდ პირადი და ვიწრო პარტიული ინტერესებით სულდგმულობს. ეს კატეგორია რომ დავთვალოთ, არც ისე მცირერიცხოვანი გამოდის.

***– თუ სააკაშვილის გუნდი მართლაც რევანშს ამზადებს, რა სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები?***

– „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე აქტიურად მოქმედებს და ეს ჩანს.

***– რას გულისხმობთ?***

– უპირველეს ყოვლისა, საქართველოს რეგიონებში კანონმდებლობის სრული დარღვევით, სასწრაფოდ ხდება ახალი მმართველების არჩევა. ამის თაობაზე საკრებულოების ოპოზიციურად განწყობილ წევრებს ინფორმაციაც კი არ აქვთ და ფაქტის წინაშე დგებიან. ადგილობრივი საკრებულოები, არჩეული იქნა იმ დროს, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტიკურ ველში კონკურენტი არ ჰყავდა. დღეს ისინი უკვე დრომოჭმული პოლიტიკური ხედვისა და შესაბამისად არაადექვატური ფასეულობების დამცველნი გახლავან. ეს ვერტიკალი წლების განმავლობაში არადემოკრატიულად მოქმედებდა და ახლაც ასე აპირებენ გაგრძელებას.

***– ასევე საუბარია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ რეგიონებში ბანდფორმირებები ჰყავს ჩამოყალიბებული.***

– ამაშია საქმე. უბრალოდ, ამ მიმდინარეობის ლეგიტიმაცია ახლა დაიწყო. ამის პირველი მაგალითი გახლავთ უგულავას მხედრიონი.

***– „თავისუფალმა საქართველომ“ ივანიშვილს თანამშრომლობა კიდევ ერთხელ შესთავაზა. რას იტყვით პარლამენტის მანდატების გარეშე დარჩენილ ოპოზიციაზე?***

– თითოეულმა მათგანმა მიიღო სრულიად მკაფიო პასუხი საკუთარი ამორჩევლებისგან და ვფიქრობ აქ საკამათო არაფერია. ახლა პირველ რიგში მათ თავიდან უნდა დაიწყონ ხმის შეგროვება ოლონდ გამარჯვების პერსპექტივა ექნებათ მაშინ, როცა ობიექტურად გაიაზრებენ მიზეზს, რის გამოც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

***– „ქრისტიან-დემოკრატები“ ბრძოლას აგრძელებენ. ნინო ბურჯანაძეზე კი საუბარია, რომ კულისებიდან მიეხმარება ივანიშვილს ქვეყნის მართვაშიო..***

– სჯობს მოვლენების განვითარებას დაველოდოთ. რაც შეეხება ბურჯანაძეს, ვფიქრობ კულისებში დგომა არ დასჭირდება. მას მალვა არ სჭირდება. იგი ყოველთვის ღიად დააფიქსირებს თავის პოზიციას და შემდეგ ყველაფერი ამომრჩეველმა განსაჯოს.

***– თუმცა ფაქტია, რომ ივანიშვილის გარემოცვას ბურჯანაძესთან არც თუ კარგი დამოკიდებულება აქვს?***

– შესაძლებელია, იმიტომ, რომ ჩვენ არაერთხელ გავხდით მოწმე ურთიერთბრალდებებისა ალასანიას და ბურჯანაძეს შორის. თუ ეს პირადი ურთიერთობები არ მოწესრიგდა, რასაკვირველია, ოპოზიციური სპექტრის გაერთიანებისთვის ბევრი პრობლემები წარმოჩინდება.

***– და ბოლოს, როგორია ქართული პოლიტიკური რეალობის თქვენეული პროგნოზი?***

– მოლიდინები ძალიან მაღალია. ბოლო 8 წლის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იმდენი მავნებლური ნაბიჯი გადაიდგა დაწყებული საკონმდებლო ორგანოდან, დამთავრებული ყველა დარგობრივი სტრუქტურებით, რომ შედეგებს ასე მალე ვერ დაველოდებით. კონკრეტულ შედეგებზე საუბარი მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. თუმცა, მანამდე არ გამოვრიცხავ, რომ რაიმე ინდივიდიალურ შედეგებზე ვისაუბროთ.

ნიუსპრესი

## გია ხუხაშვილი პოლიტიკიდან წასვლაზე განცხადებას დღეს გააკეთებს



ექსპერტი გია ხუხაშვილი პოლიტიკიდან წასვლასთან დაკავშირებით დღეს ტელეკომპანია „მაესტროს“ პრესკლუბში განცხადებას გააკეთებს.

როგორც ხუხაშვილმა „ნიუსპრესს“ განუცხდა, იგი „საქართველოს განვითარების კვლევით ინსტიტუტს“ დაუბრუნდება და პოლიტიკურ პროცესებს სრულად ჩამოშორდება.

ხუხაშვილის განმარტებით, კოალიცია „ქართული ოცნებაში“ იგი კოალიციის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის პირადი მრჩევლის მოვალეობას ასრულებდა და საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციას ივანიშვილს მომავალშიც გაუწევს.

„პოლიტიკურ პროცესებს ჩამოვშორდები, თუმცა, ივანიშვილთან პირადი ურთიერთობა მაკავშირებს და თუკი ჩემი რჩევა დასჭირდებათ, მე ამისთვის მზად ვიქნები“ – განუცხადა „ნიუსპრესს“ ხუხაშვილმა.

ამასთან, ხუხაშვილის განმარტებით, „ქართული ოცნების“ ლიდერებთან მას კარგი ურთიერთობა აკავშირებს და მისი პოლიტიკიდან წასვლის მიზეზი რაიმე გაუგებრობა და პრობლემები არ ყოფილა.

ნიუსპრესი

# ივანიშვილი სვეტიცხოველში ოჯახთან ერთად მივიდა



სვეტიცხოვლის ტაძარში კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ოჯახთან და კოალიციის წევრებთან ერთად მივიდა.

ბიძინა ივანიშვილმა ოჯახთან ერთად ტაძარში კვართის ადგილი მოილოცა. ივანიშვილთან ერთად იყვნენ მისი გუნდის წევრები ირაკლი ღარიბაშვილი, კახი კალაძე და სხვები. მათ ტაძარში მათთვის განკუთვნილ ადგილზე, ტაძრის მარჯვენა მხარეს დაიკავეს ადგილი.

სვეტიცხოველში იმყოფებოდა პირველი ლედი, სანდრა ელისაბედ რულოვსი

საქართველოში გუშინ მცხეთობა და სცეტიცხოვლობა აღინიშნება. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წირვა ჩაატარა. რიგით მოქალაქეებთან ერთად ტაძარში იმყოფებიან საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები.

დილიდან მცხეთის ცენტრალურ ქუჩაზე მცხეთისა და მცხეთის რაიონის სოფლების სკოლებს კუთხეები ჰქონდათ მოწყობილი, სადაც გამოფენილია ნახატები, ნაქარგები, ფარდაგები. ასევე, მათ წარმოდგენილი აქვთ ხილი და გამვლელებს ფელამუშს, ჩურჩხელებსა და ღვინოს სთავაზობდნენ.

ასევე, მცხეთაში გაიმართება ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები, ხოლო საღამოს მცხეთის ამფითეატრში მცხეთობის სახალხო დღესასწაულს ქართული ესტრადის მომღერლები კონცერტით დაასრულეს.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# მალხაზ გულაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ

თეა მარხვაიძე



ბოლო პერიოდში აქტიურად ალაპარაკდნენ ფართომასშტაბიან ამნისტიაზე. ჩვენს ციხეებში მართლაც ბევრი ადამიანი იხდის უკანონოდ სასჯელს. საქართველოს დღეს საკმაოდ ჰყავს პოლიტპატიმრები. რასაც ნაციონალები არასდროს არ აღიარებდნენ. უფლებათადამცველებს კი სხვა მოსაზრებები აქვთ.

არჩევნების შემდეგ ხალხმა ბევრი უკანონოდ დაკავებული ადამიანის გათავისუფლება მოითხოვა. ჟურნალისტების ნაწილმა კი „ჯორჯიან თაიმსის“ გამომცემლის მალხაზ გულაშვილის გათავისუფლება მოითხოვეს.

გულაშვილის ისტორია საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. ის წლების განმავლობაში ხელისუფლებას თავისი გაზეთით ამწარებდა. 2010 წელს ტელეკომპანია „კავკასიაში“ მოხდა ინციდენტი, რომლის დროსაც „მართლმადიდებლური მოძრაობის“ 8 წევრი დააკავეს. გულაშვილი ამ მოძრაობის ლიდერი გახლავთ.

ამ ინციდენტს მალხაზ გულაშვილის მეუღლემ, ნანა გაგუამ ბართლომეს ღამე უწოდა. ნანა დღემდე ამ აზრზეა და დაკავებული ახალგაზრდების გათავისუფლებას ითხოვს.

– ჩემი მეუღლე არის სინდისის პატიმარი. მიმაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს მისი გათავისუფლება. ოღონდ მანამდე ის ბიჭები უნდა გაათავისუფლონ, ბართლომეს ღამეს რომ დააპატიმრეს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ნანა გაგუა.

ნანა იხსენებს, რომ სამჯერ მოითხოვა მეუღლის შეწყალება. სამჯერვე უარი მიიღო. გულაშვილის საქმე არც უდოს კომისიამ გადაწყვიტა დადებითად.

მალხაზ გულაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ კამპანია დაიწყო.

– ვიცი, რომ მალხაზს ბევრი გულშემატკივრობდა, მაგრამ ასეთ შედეგს არ ველოდი. ფეისბუქით გამოვაქვეყნეთ მისი მხარდამჭერი განცხადება. გამოქვეყნებიდან 22 საათში ამ განცხადებას 11 ათასი ადამიანი გამოეხმაურა. მხოლოდ 2-3 ადამიანმა გამოხატა უარყოფითი პოზიცია. მაგალითად, დაინტერესდნენ, რატომ წავიდა ის რუსეთში ან რატომ არ დააჭერინა თავი. როცა ის ბიჭები დაიჭირეს მალხაზი 3 დღე იდგა პროკურატურასთან. მერე ჩვენს შვილს შეუქმნა პრობლემები ხელისუფლებამ. მალხაზი იძულებული გახდა ის წაეყვანა საქართველოდან, – ამბობს ნანა გაგუა.

ნანას თქმით, მალხაზმა მალევე სცადა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ ვეღარ შეძლო. მის წინააღმდეგ საქმე იყო აღძრული. შარშან გულაშვილმა მაინც გარისკა სამშობლოში დაბრუნება და ციხეში აღმოჩნდა. ახლაც საპატიმროშია. მას 6 თვე დარჩა მოსახდელი.

ნანას იმედი აქვს, რომ მალხაზი ვადამდე დატოვებს საპატიმროს. სხვა თუ არაფერი, ის ერთადერთი პატიმარი ჟურნალისტია. ჟურნალისტებს მის მიმართ მეტი სოლიდარობა რომ გამოგვეჩინა, შესაძლოა ის უკვე თავისუფალი ყოფილიყო.

# ახალი მთავრობის სრული შემადგენლობა ხვალ გახდება ცნობილი

თეა მარხვაიძე



ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში მინისტრობის კანდიდატებთან დაკავშირებით კონსულტაციები გამუდმებით მიმდინარეობს. მომავალ მინისტრებზე გუშინაც მსჯელობდნენ. მეოცნებეებს რამდენიმე მინისტრობის კანდიდატი დარჩათ შესარჩევი. უკვე შერჩეულები ივანიშვილმა საზოგადოებას ზუსტად ერთი კვირის წინ წარუდგინა. მაშინ ითქვა, რომ კონსულტაციები აქტიურად მიმდინარეობდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ სპეციალისტებთან.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, გარემოს დაცვის მინისტრის პოსტზე ბიძინა გიორგობიანის, ლაშა ჩხარტიშვილის და გიორგი გაჩეჩილაძის კანდიდატურები განიხილებოდა. გაჩეჩილაძემ ამ პოსტზე უარი თქვა.

ენერგეტიკის მინისტრის პოსტზე ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას კანდიდატურა განიხილებოდა. მაგრამ მირცხულავამ მინისტრობა აღარ მოისურვა. ისე კი მზადაა, თავისი გამოცდილება მეოცნებეებს გაუზიაროს. სხვათა შორის, მირცხულავა თავისი საქმის ძალიან კარგ სპეციალისტად ითვლება. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს პოსტი მამუკა ნიკოლეიშვილსაც შესთავაზეს.

ფინანსთა მინისტრის პოსტზე ირაკლი მანაგაძის კანდიდატურა განიხილებოდა. ამ უკანასკნელს ვარდების რევოლუციამდე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ დევნილთა მინისტრის პოსტზე ვახტანგ ყოლბაიას კანდიდატურა განიხილებოდა. ამ კანდიდატურას დევნილთა ნაწილი უკმაყოფილებით შეხვდა.

გუშინ დევნილთა ორგანიზაციები განსახლების მინისტრის თანამდებობაზე ვახტანგ ყოლბაიას კანდიდატურის შესაძლო დასახელებას გამოეხმაურნენ.

– ყოლბაია „დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალური მდივანია, რომლის წინააღმდეგ სოციალურ ქსელებში ვინმე ლევან აქუბარდია აბსურდულ ინფორმაციებს ავრცელებს. ყოლ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ხათუნა ხოფერია: „ქვანიას სიკვდილთან დაკავშირებით ბევრ საინტერესოს გაიგებთ“

## რა შანსები აქვთ ნაციონალებში ფეხმოკიდებულ ჟვანიას ყოფილ მეგობრებს

თეა მარხვაიძე

საქართველოს ყოფილი პრემიერი ზურაბ ჟვანია 2005 წლის 3 თებერვალს დაიღუპა. მისი სიკვდილის საიდუმლო ჯერ ამოხსნილი არ არის. ოპოზიციაში გადასული ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ის გაზის გამათბობელმა მოწამლა. ამ ვერსიის კი საქართველოში არავის სჯერა. ამის არც ჟვანიას ოჯახის წევრებსა და მეგობრებს სჯერათ.

მეგობრებს როცა ვამბობთ, ცხადია, იმ ადამიანებს არ ვგულისხმობთ, რომლებიც ახლა პარლამენტში არიან და ნაციონალების აქტიურ სახეებს წარმოადგენენ. ეს ხალხი ძველებურად ამტკიცებს, რომ ჟვანია გაზით გაიგუდა.

ჟვანიას სიკვდილიდან ცოტა ხანში პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვეს. ამ ინიციატივით ახალი მემარჯვენეები გამოვიდნენ. ჟვანიას ყოფილმა თანამოაზრეებმა, მიშა მაჭავარიანის ინიციატივით ეს იდეა ჩაკლეს. მაჭავარიანმა მემარჯვენეებს უნამუსობაშიც კი დასდო ბრალი. მისი თქმით, იმ ხალხისგან უხერხული იყო ამ მოთხოვნის დაყენება, რომლებიც სიცოცხლეში ჟვანიას აკრიტიკებდნენ.

წესით და რიგით, ეს საკითხი ჟვანიას გუნდის წევრებს უნდა დაეყენებინათ. თუმცა მათ ეს არ ისურვეს, რატომ მოიქცნენ ასე, ალბათ ძნელი გასარკვევი არ არის. გავა დრო და ამაზე თავად ალაპარაკდებიან.

სანამ ისინი ალაპარაკდებიან, ამ საკითხის გამოძიების ინიციატივით კოალიცია „ქართული ოცნება“ გამოდის. ამ ბურუსით მოცული ამბის გამოძიების კი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ძალიან ეშინია.

არჩევნებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებული კადრები არსებობდა და მათი გამოქვეყნება უნდა მომხდარიყო. ამან ძალიან შეაკრთო ნაციონალები. კადრები მაშინ არ გამოუქვეყნებიათ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი ამ ჩანაწერების გამოქვეყნება ალბათ შესაძლებელი გახდება.

„ქართული ოცნება“ პირობას დებს, რომ ამ საქმეს აუცილებლად გამოიძიებს. ჟვანიას სიკვდილის პარალელურად ალბათ ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელის ლევან სამხარაულის საქმის გამოძიებაც უნდა მოხდეს.

გარდაცვლილ ჟვანიას მან ჩაუტარა ექსპერტიზა. ამ ამბიდან ძალიან მალე კი ის გაურკვეველ ვითარებაში იღუპება. ის ყვარელში მისმა თანაკლასელმა მოკლა. მკვლელობიდანს რამდენიმე წუთში მკვლელი სახლში მიდის და თავს იკლავს. ეს არის ოფიციალური ვერსია. მისი ოჯახის წევრები კი ამბობენ, რომ ის მოკლეს. ამბობენ იმასაც, რომ მას 2 იარაღიდან ჰქონდა ტყვია მოხვედრილი.

ლევან სამხარაულის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია ხეირიანად არც კი იყო გავრცელებული, რომ ყვარელში ზურაბ ადეიშვილი და პეტრე ცისკარიშვილი გაქანდნენ. მათ ცხადია მკვლელობის პოლიტიკური მოტივები გამორიცხეს.

ჟვანიას სიკვდილის მიზეზების გამოძიების მოთხოვნით გამოვიდნენ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები. ეს მოთხოვნა აქვთ ზურაბ ჟვანიას მეგობრების ნაწილსაც. მისმა თანამოაზრემ ხათუნა ხოფერიამ ამ დღეებში სენსაციური განცხადება გააკეთა.

ყოფილი დეპუტატი ირაკლი ალასანიას საარჩევნო შტაბის წარმომადგენელი გახლავთ. ხოფერიამ ჟვანიას სიკვდილზე განცხადებები ზუგდიდშიც გააკეთა. ეს იმ დღეს მოხდა, როცა გიორგი ბარამიძე ზუგდიდში როლანდ ახალაიას მხარდასაჭერად ჩავიდა.

ხოფერია დარწმუნებულია, რომ ძალიან მალე ჟვანიას სიკვდილის მიზეზები გაირკვევა.

– ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გამოძიება დაიწყება და ძალიან ბევრი ახალი ჩვენება იქნება ამ საქმეში. ამ რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა პიროვნება, რომელსაც აწამებდნენ ქონების დასათმობად. ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მას უთხრა, ამ ხელებით დავახრჩვე ჟვანია და შენ რისი იმედი გაქვსო. მან დაასახელა გვარი. როდესაც საქმის ძიება დაიწყება, ეს პიროვნება მზად არის, მივიდეს და მისცეს ჩვენება და ასეთი ბევრი ფაქტია. დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილის ხელისუფლება ამ გამოძიებას მიიყვანს ბოლომდე, რადგან ეს საზოგადოების მოთხოვნაა. ეს არის სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი ერთ-ერთი პირველი დანაშაული და საზოგადოება, ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები ვერ დატოვებენ ამას ისე, რომ ვერ მიიღონ კითხვებზე პასუხი, როგორ გარდაიცვალა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, – განაცხადა „მაესტროს“ ეთერში გამოსვლისას ხოფერიამ.

ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით ექსპერტიზა ამერიკულმა მხარემაც ჩაატარა. ამერიკიდან ჩამოსულ დასკვნას ნაციონალები კარგა ხანს უფრიალებდნენ საზოგადოებას. საზოგადოებამ არც ამ დასკვნას დაუჯერა.

– ამერიკიდან ჩამოსული დასკვნის მიხედვით, აირით მოწამვლის ფაქტს 5 პირობა არ აკმაყოფილებდა და ჟვანიას მეგობრების წრეში იცოდნენ, რომ ბუნებრივი სიკვდილით პრემიერი ვერ გარდაიცვლებოდა. კერძოდ, ხოფერიამ ახსენა, რომ აღნიშნული ფაქტების შესახებ ხათუნა გოგორიშვილისა და გიორგი ბარამიძისგან იცოდა იმაზე, რომ ეს იყო მკვლელობა, ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით და ბევრი ფაქტები არსებობდა. იყო ხალათი, პირსახოცი, ჯაგრისი, რომელზეც გარდა ზურას დე-ენ-ემისა, აღმოჩენილი იყო სხვა პიროვნების, მდედრობითი სქესის დე-ენ-ემი. არ იყო ამოცნობილი, ვინ იყო ეს პიროვნება. მე მათგან მაქვს ეს ინფორმაციები. ისინი ამას განიცდიდნენ. გია ბარამიძე იყო პირველი პიროვნება, რომელიც იქ მიიყვანეს. ჩვენი გუნდიდან იგი ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი იყო, – აღნიშნა ხოფერიამ.

ხათუნა ხოფერია იმ პიროვნების ვინაობას არ ასახელებს, რომელსაც ჟვანიასთან დაკავშირებით სენსაციური ინფორმაციის მოწოდება შეუძლია.

– ეს პიროვნება ჩვენებას აუცილებლად მისცემს. ის აუცილებლად მივა პროკურატურაში. ახალი ხელისუფლება ამ საქმის გამოძიებას უახლოეს მომავალში დაიწყებს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხოფერია.

ყოფილ დეპუტატს ჟვანიას ტრაგიკული დაღუპვის გამო გული ძალიან სტკივა, აღშფოთებულია იმის გამო, რომ ჟვანიას ყოფილი თანაგუნდელები ხმას არ იღებენ. გარკვეული დროით არც ის აპირებს ხმის ამოღებას.

– მე შემიძლია გამუდმებით ვისაუბრო ამ თემაზე, მაგრამ ახლა გავჩუმდები. გავჩუმდები იმიტომ, რომ ახალი ხელისუფლება იწყებს გამოძიებას. ახლა ზედმეტი აქტიურობა საჭირო არ არის. ზურას მეგობრები მოუთმენლად ველოდებით გამოძიებას, – აღნიშნავს ხოფერია.

ხოფერია დარწმუნებულია, რომ ამ საქმით ზურაბ ჟვანიას ის მეგობრებიც დაინტერესდებიან, რომლებიც ახლა ნაციონალებში არიან.

– ამ ადამიანებზე ბევრს არ ვისაუბრებ, მათთან დაკავშირებით რიმა დეიდამ (ზურა ჟვანიას დედა) შესანიშნავი განცხადება გააკეთა. საბედნიეროდ, ზურას ბევრი მეგობარი და თანამოაზრე დარჩა. მათთვის კი სულერთი არ არის როგორ დაიღუპა ის. გამოძიება იწყება და იმ ადამიანებსაც შეუძლია შემოგვიერთდნენ. ერთად დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, – აღნიშნავს ჩვენთან საუბარში ხოფერია.

ის დარწმუნებულია, რომ ჟვანიას სიკვდილის გამოძიებისას ძალიან ბევრი სკანდალური ამბის მომსწრენი გავხდებით.

ნაციონალებში ფესვგამდგარ ჟვანიას თანამოაზრეებს აღიზიანებთ, როცა მის სიკვდილზე საუბრობენ. შეიძლება სინდისის ქეჯნა აწუხებთ, ღიად კი იმას ამბობენ, რომ არ მოსწონთ, როცა ამ თემით სპეკულირებენ.

ყოფილი პრემიერის გარდაცვალებაზე განცხადება გააკეთა ოპოზიციაში გადასულმა ირაკლი ოქრუაშვილმაც. ამ თემაზე სხვებიც აქტიურობენ. ამტკიცებენ, რომ არსებობს სენსაციური ჩანაწერები. ჯერჯერობით არც ეს ჩანაწერები გამოქვეყნებულა და არც სიმართლე გარკვეულა.

ოპოზიციაში გადასული ნაციონალები დღეს ამ თემაზე ფაქტიურად არ საუბრობენ. საინტერესო განცხადებები გააკეთეს მათ ჟვანიას სიკვდილის დღეს. ჩვენ რამდენიმე მათგანს შეგახსენებთ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ამ ტრაგიკულ ამბამდე 2 დღით ადრე გორში ტერაქტი მოხდა. ქალაქის ცენტრში დანაღმული მანქანა აფეთქდა. მოგვიანებით ითქვა, რომ ეს ტერაქტი ყურადღების მისაქცევად იყო მოწყობილი.

ახლა რაც შეეხება 2005 წლის 3 თებერვალს. იმ დღეს, გამთენიისას, შინაგან



საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ქვეყანას პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების სამწუხარო ამბავი აცნობა. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ გარდაცვალების მიზეზიც მომხდარიდან რამდენიმე საათში დაბეჯითებით გაახმაურა. ოფიციალური ვერსიით, ჟვანია საბურთალოს ქუჩის (№50 ა) ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად, მეგობარ რაულ უსუპოვთან ერთად გაიგუდა..

– დაღუპულია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბატონი ზურაბ ჟვანია. მე ახლა შევეცდები, მოგაწოდოთ ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ ამ წუთში გაგვაჩნია... ეს არის გაზით მოწამვლის ფაქტი. იმ ოთახში დამონტაჟებული იყო ირანული გაზის ქურა. ალბათ, მოხდა ეს უცაბედად, რადგან ბატონი ზურაბ ჟვანია ამ დროს იჯდა „კრესლოში“, – განაცხადა 3 თებერვლის ადრიან დილით ვანო მერაბიშვილმა.

დილის ათ საათზე სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა საგანგებო თათბირი. ჟვანიას და იუსუპოვის გვამები ექსპერტიზის ჩასატარებლად რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიტანეს.

საპატრულო პოლიციამ გადაკეტა შემთხვევის ადგილთან და საავადმყოფოსთან მისასვლელი გზები.

3 თებერვალს, 11 საათსა და 53 წუთზე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ოფიციალური წარმომადგენელი პირველ კომენტარს აკეთებს. მან მხარი დაუჭირა შემთხვევიდან სამ საათში გამოქვეყნებულ შინაგან საქმეთა მინისტრის ვერსიას.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელს ძალიან მალე გაურკვეველ ვითარებაში კლავენ. მისი მკვლელიც თავს იკლავს.

თბილისში დღემდე არსებობს მოსაზრება, რომ ჟვანიას და უსუპოვის სისხლში ნახშირბად-ჰემოგლობინის მაღალი პროცენტის მიზეზი გაზის გამათბობელი არ იყო,

ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ჟვანიას კისრის არეში აღენიშნებოდა სისხლჩაქცევა.

ამბობენ იმასაც, რომ უსუპოვს მკერდის არეში ნაწემსრები ჰქონდა.

ყველაზე უცნაური ისაა, რომ ბინაში, სადაც გამოძიების ვერსიით, პრემიერ-მინისტრმა უკანასკნელი ღამე გაატარა, სადაც ივახშმა და ცოტაოდენი სასმელიც მიირთვა, გამოძიების მიერ ამოღებულ არც ერთ ნივთზე, არც ერთ საგანზე ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის თითის ანაბეჭდები არ აღმოჩნდა.

ოფიციალური ვერსიით ჟვანიამ ძეხვი მიირთვა. მისი ახლობლები კი ამბობენ, რომ ზურა იმ დროისთვის დიეტაზე იყო და არც იმ ტიპის ძეხვს ჭამდა.

ბინაში სიგარეტის ნამწვავებიც აღმოაჩინეს. შემდეგ გაირკვა, რომ ჟვანია იმ ტიპის სიგარეტს არ ეწეოდა. ამის გარდა ისიც გაირკვა, რომ პრემიერი სიგარეტის ღერს მხოლოდ ნახევრამდე ეწეოდა, მერე კი აქრობდა და აგდებდა.

მის საქმეში ბევრი შეუსაბამობაა. შესაბამისად ძალიან ბევრი ეჭვი არსებობს. წესით, ამ ეჭვების გაფანტვა ყველაზე მეტად ნაციონალებს უნდა სდომოდათ. მათ რატომღაც არ მოისურვეს.

# დავით ფაცაცია: სააკაშვილის ტაშისმკვრელი წერედიანი მინისტრად არ უნდა დაინიშნოს!“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელ დავით ფაცაციასთან

***— „ქართული ოცნების“ ოფისთან დევნილებმა დევნილთა და განსახლების მინისტრად ბესიკ წერედიანის შესაძლო დასახელება გააპროტესტეს. რამდენად რეალური კანდიდატია წერედიანი ამ პოსტზე?***

— ეს ბუნებრივი რეაქციაა დევნილების, თუმცა სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ, რადგან არ ვიცი, საიდან და როგორ, ვინ დაასახელა წერედიანი მინისტრობის კანდიდატად. მე ძალიან ხშირად მქონდა დევნილებთან შეხვედრა, სხვათა შორის, აქ კარვის დევნილები არიან. როდესაც კარვები ჰქონდათ გაშლილი სამინისტროს წინ, გახსოვთ, ნანა ფიფია, რომელმაც ბენზინი გადაისხა, ადამიანმა თვაგანწირვის უდიდესი მაგალითი აჩვენა და მაშინ არავითარი რეაქცია არ ჰქონია სამინისტროს და მის მესვეურებს. მე აბსოლუტურად მესმის დევნილების. მათი პროტესტის.

***— მაშინ წერედიანი პოსტზე იყო?***

— დიახ, მეტიც, სულ ახლახან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა რომ იყო დინამო-არენაზე, იქ იყო მისული, მის უკან იდგა და ტაშს უკრავდა. ტაშს უკრავდა ამ უსამართლობას, იმ ამაზრზენ ფაქტებს, რომლებიც ციხის რეალობას ასახავს. ჩემი ინფორმაციით, წერედიანის კანდიდატურის დატრიალება გარკვეულ ტელევიზიებში, შინაგან საქმეთა სამინისტროდან წამოსული ჭორია, რომელმაც ხალხი გააღიზიანა. მე შევხვდი ამ ადამიანებს და ვთხოვე, რომ არ წამოგებულიყვნენ ამ პროვოკაციებს, დამშვიდებულიყვნენ, რადგან ჩემი ინფორმაციით, წერედიანზე კოალიციაში საუბარი არ ყოფილა. პირადად მე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ. ეს ისეთივე გაღიზიანებაა, როგორც ხელისუფლების ინიციატივით სხვადსხვა ბანდფორმირებები რომ აყაჩაღებენ ადამიანებს. სპეციალურად ქმნიან აჟიოტაჟს და ასეთ გარემოს. მათ შორის დევნილთა სამინისტროდან გვაქვს ინფორმაცია, რომ დევნილების მიმართ მოწოდება გავრცელდა, რომ თითქოს ბიძინა ივანიშვილი მათ ნებისმიერ ფართს დაუკანონებდა, მოწოდებები ასეთია: ხომ გეუბნებოდათ ბიძინა, დაგიკანონებთო, მიდით, შევარდით და დაიკავეთ ფართები, სხვადასხვა ობიექტები. მასობრივად მოხდა ასეთი შევარდნები და დაკავებები. ჩემი მხრიდან მინდა დევნილებს ვთხოვო, რომ მაქსიმალურად შეიკავონ თავი და კანონის ფარგლებში იმოქმედონ. ჩვენ ყველას, როგორც განვაცხადეთ, თანმიმდევრულად, ძალიან სწრაფად დავეხმარებით თითოეულ ადამიანამდე უნდა მივიდეს დახმარება. უნდა მოხდეს აღრიცხვა და პირველ რიგში ყველაზე გაჭირვებულ ადამიანს უნდა დავეხმაროთ. შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ ყველას დასახმარებლად. მათ შორის სოციალური, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის პრობლემების მოსაგვარებლად თითოეულ ოჯახამდე მივალთ. ასევე მოგვარდება და დარეგულირდება განსახლების მეტად მტკივნეული პრობლემა. ეს პრინციპულად არის მნიშვნელოვანი. ეს საკითხი სამართლიანად გადაწყდება. ძალიან ძნელია, რთულია, მესმის, მაგრამ ჩვენ ეს უნდა მოვახერხოთ და მოვახერხებთ კიდეც, როგორც დევნილებს ვპირდებოდით. ყველა შეხვედრა, რომელიც კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებთან პირადად მე მქონდა, დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში იყო ასეთი დაპირებები ჩვენი მხრიდან იყო და ეს შესრულდება.



***— ვინ განიხილება მინისტრის პოსტზე?***

— მე ვერ მოგახსენებთ. ეს საკითხი განიხილება. ბიძინა ივანიშვილს არაერთი შეხვედრა ჰქონდა დევნილებთან. მათ შორის შეხვედრა იყო „ქართული ოცნების“ ოფისში, როდესაც მან პირადად მოუწოდა დევნილებს. კიდევ ერთი შეხვედრა გმირთა მოედანზე იყო. ამ დროს მე პატიმრობაში ვიყავი. ჩვენ უნდა მოგვემზადებინა დევნილთა ყრილობა, მაგრამ ვერ მოხერხდა, მე დამაპატიმრეს, ალბათ, უახლოეს მომავალში მოხერხდება. ამ ყრილობაზე გაცხადდება ყველა ის ინიციატივა, რომელსაც „ქართული ოცნება“ გეგმავს.

***— არსებობს გაწერილი გეგმა, პროექტი?***

— რასაკვირველია, არსებობს პროგრამა, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ არის შემუშავებული. ეს პროგრამა დარიგებულია დევნილებისთვის. ამ პროგრამის ფარგლებში ვიმოქმედებთ. ეტაპებად გაწერილ გეგმას კი მინისტრი და მინისტრთა კაბინეტი გააცხადებს.

***— თქვენს დაკავებასთან დაკავშირებით რომ გვითხრათ, რა სიტუაციაა ამჟამად ციხეში?***

— ჩემი დაკავება აბსოლუტურად უკანონოდ მოხდა. პრაქტიკულად ეს შეგნებულად და სპეციალურად მოხდა. იმის გათვალისწინებით, რაც ხდებოდა ქვეყანაში. მეორე მხრივ ჩვენ უნდა მოგვემზადებინა არაერთი ღონისძიება. მათ შორის ახალგაზრდული. ალბათ ჩემი დაკავება პირდაპირი დაკვეთაც იყო. სასამართლო, მოწმეების ჩვენება აბსოლუტურად უკანონო იყო.

***— ბრალდების მიზეზი რა იყო?***

— გინება, დაუმორჩილებლობა, წინააღმდეგობის გაწევა. ასეთი ბრალდება წამიყენეს, რასაც მე, რასაკვირველია, არ ვეთანხმები, რადგან მსგავსი რამ არ მომხდარა, მტკიცებულებები არ არსებობს ამ ბრალდების დასამტკიცებლად. სამწუხაროდ, გრიგალაშვილის ბრძანებას დაემორჩილა ორი პოლიციელი. ეს ორი პოლიციელი ცრუ ჩვენებით წარდგა სასამართლოს წინაშე. მოსამართლემ არ გაითვალისწინა არავითარი მტკიცებულება. საბოლოოდ კი სასამართლომ დანაშაულებრივი განაჩენი გამოიტანა და პატიმრობა მომისაჯა, რისთვისაც მოსამართლე მირანდა ერემაძე პასუხს აგებს. საერთო ჯამში, ყველაფერს სახელი რომ დავარქვა, ამას მარაზმი ჰქვია, როგორც სასამართლო, ისე პოლიციის სისტემაში. ზოგადად ადამიანის ღირსებისა და მისი უფლებების დაცვის სფეროში. ორჯერ ვარ დაჭერილი, ერთხელ – 2009 წელს, როდესაც 15 ივნისს აქცია მოაწყვეს. პრაქტიკულად 100-ზე მეტი ახალგაზრდა იქნა დაზარალებული. მე მაშინ შიმშილობა გამოვაცხადე, რათა ჩემი მეგობრების მიმართ სოლიდარობა გამომეხატა, რომლებმაც ჩემს დასაცავად აქციაზე პროტესტი გამოხატეს. იმ დღეს ჟურნალისტები დაარბიეს, კამერები ჩამოართვეს. შიგნით ჩემი მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, დაჭერილი ჩემი მეგობრები შიგნით რომ შემოვიდნენ, კიდევ უფრო დამძიმდა ჩემი მდგომარეობა. მაშინ შიმშილობა პატრიარქის თხოვნით შევწყვიტე. მაშინ 25 დღე დავყავი, ამჯერად 16 დღე.

# მურმან დუმბაძე: აჭარის პირველი პირი „ქართული ოცნების“ წევრი უნდა გახდეს!“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, მურმან დუმბაძე აჭარის ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე განმარტებას აკეთებს.

დუმბაძე აცხადებს, რომ გადასახედია კანონმდებლობა აჭარის ავტონომიური სტატუსის შესახებ. დუმბაძე მიიჩნევს, რომ არა მარტო აჭარაში, არამედ ყველა რეგიონში თვითმმართველობა უნდა გაძლიერდეს. მისი თქმით, დღევანდელი კანონმდებლობით აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს პრეზიდენტი წარადგენს და აჭარის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს, თუმცა დუმბაძე მიიჩნევს, რომ კარგი იქნებოდა, თუ აჭარის უმაღლეს საბჭოს ექნებოდა მეთაურის წარდგენის უფლებამოსილება.

მურმან დუმბაძე პარლამენტის ვიცესპიკერობის კანდიდატი:

— საუბარია კონსტიტუციურ კანონზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ, რომლის შინაარსიც არ ვარგა. უახლოეს დღეებში ბატონი ბიძინა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას გამოაცხადებს, კონსტიტუციურად ეს მოგვარებული რომ იყოს, უფრო მარტივად იქნებოდა საქმე. მაგალითად, აჭარის უმაღლესმა საბჭომ შესთავაზოს კანდიდატურა აჭარის პირველი პოლიტიკური ლიდერის თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტს და მან დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს. ახლა პირიქით არის. საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს აჭარის უმაღლეს საბჭოს კანდიდატურას, თუ აჭარის უმაღლესი საბჭო დაიწუნებს ამ კანდიდატურას, მაშინ მას შეუძლია აჭარის უმაღლესი საბჭო დაითხოვოს. ეს მუხლი არ ვარგა და ამიტომ ვამბობ, რომ შინაარსობრივად ბევრი რამ არის შესაცვლელი. საერთოდ, საქართველოს გადარჩენის უებარი წამალი თვითმმართველობაა. ჩვენ ქვედა დონის ხელისუფლება უნდა გავაძლიეროთ. საუბარი არ არის მხოლოდ აჭარის რეგიონზე და რეგიონულ სტრუქტურებზე. მე ზოგადად რაიონის, ქალაქის თვითმმართველობაზე ვამბობ. საკრებულოებში, ადგილობრივ დონეზე ადამიანები კომპეტენციით, ფუნქციით უნდა აღვჭურვოთ. ის, რისი გაკეთებაც შეიძლება ქვედა დონეზე, უნდა გაკეთდეს. ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა დარჩეს ის უფლებამოსილება, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების გადასაწყვეტია და რომელსაც ქვედა დონე ვერ წყვეტს.

— ბატონო მურმან, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატებთან დაკავშირებითაც რომ გვითხრათ?



— ბიძინა ივანიშვილმა შემოგვთავაზა, რომ ჩვენი კანდიდატები შევთავაზოთ. ჩვენგან ინიცირებული ადამიანი იქნება დასახელებული ამ კანდიდატურაზე. უახლოეს დღეებში შევთავაზებთ, რადგან უკვე მოაზრებული გვაქვს რამდენიმე ალტერნატიული კანდიდატი. ბუნებრივია, ის აირჩევს და თავადაც გააჟღერებს. ბევრი კანდიდატი განიხილება. ჩემი პოზიციაა, რომ აჭარის პირველი პოლიტიკური პირი გამარჯვებული გუნდიდან იყოს.

— არჩილ ხაბაძე განიხილება ამ თანამდებობაზე?

— განიხილება ჩვენ მიერ. მას კარგად ვიცნობთ, ის კარგი ფინანსური მენეჯერია. მე მას უფრო სხვა ამპლუაში ვხედავ. მე დღეს გვარების დასახელებისგან თავს ვიკავებ. არა მხოლოდ თავმჯდომარის კანდიდატურა, მთელი მთავრობის შემადგენლობა უნდა წარვუდგინოთ ბატონ ბიძინას. ჩვენ ვადა გვაქვს და შეიძლება თვის ბოლომდე არც გაამხილოს.

— აჭარის სტატუსთან დაკავშირებით გაქვთ წინადადებები?

— არა, საუბარია არა აჭარის რეგიონზე, არამედ ქვედა დონის ხელისუფლებაზე, ეს ქვეყანა თვითმმართველობამ უნდა მართოს. აჭარის სტატუსი კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია. საერთოდ, საუბარი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციაზე. დღეს თითქმის ორხელისუფლებიანობის ზღვარზე ვართ, ეს ხომ არ ვარგა, ეს ხომ გამოჩნდა. ამის დაბალანსება უნდა მოხდეს. მე ვიყავი იმ პოლიტიკური პარტიის წევრი, რომელიც ამბობს, რომ საქართველოში პრეზიდენტი უნდა იყოს, მაგრამ საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი. მე ამის მომხრე ვარ. ჩემი პარლამენტარობა თუ რამეში გამოდგება, ვიბრძოლებ, რომ ქვეყანაში საპარლამენტო რესპუბლიკა დამკვიდრდეს. მე ვამბობ, რომ შინაარსობრივად ბევრი რამ არის საერთოდ შესაცვლელი. საქართველოს გადარჩენის წამალი არის თვითმმართველობა. მე არ ვამბობ მხოლოდ აჭარის რეგიონზე, ზოგადად თვითმმართველობებს ვგულისხმობ ამ შემთხვევაში. ჩემი აზრით, მეტი უფლებამოსილებით უნდა აღვჭურვოთ თვითმმართველობები და საკრებულოები და რისი გაკეთებაც შესაძლებელია ქვედა დონეზე, უნდა გაკეთდეს ქვედა დონეზე.


თიბისი ბანკი
TBC BANK

# თიბისი ბანკის განცხადება

თიბისი ბანკმა გაავრცელა განცხადება, რომელიც უკავშირდება კომპანია ელიტ ელექტრონიქსის ყოფილ მფლობელს, ანზორ ქოქოლაძეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ანზორ ქოქოლაძე ცდილობს ბანკი დააჟანტაჟოს - კერძოდ, ითხოვს ბანკისგან ელიტ ელექტრონიქსის აქციების 100%-ს ისე, რომ უარს ამბობს ბანკისგან აღებული სესხის, 11 მილიონის გადახდაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება თიბისი ბანკს მისი რეპუტაციისა და სახელის შელახვით.

თიბისი ბანკი მიიჩნევს, რომ ქოქოლაძე უბრალოდ ცდილობს ისარგებლოს ბოლო დროს განვითარებული ცვლილებებით, მოისხას „ჩაგრულის“ მანტია, გამოიყენოს მასმედია იარაღად თიბისი ბანკის დაშანტაჟებაში და შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

თიბისი ბანკის მენეჯმენტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ „ანზორ ქოქოლაძე არის ადამიანი, რომელმაც აიღო თიბისისგან და 3 სხვა ბანკისგან 26 მილიონი ლარის სესხები, თავისი არასწორი მართვით მიიყვანა კომპანია იქამდე, რომ სესხები ვერ დაბრუნდა და კომპანია აღმოჩნდა ფინანსურ კრიზისში.“ ბანკის წარმომადგენელთა თქმით, თიბისი ბანკი იძულებული გახდა, სესხის სანაცვლოდ გირაოში ჩადებული აქტივები სასამართლო წესით საკუთრებაში მიეღო და გაესხვისებინა საერთაშორისო ინვესტორზე, რათა როგორმე სესხი დაებრუნებინა. შედეგად, კომპანიამ განაგრძო ფუნქციონირება, ბანკმა სესხის მხოლოდ ნაწილი დაიბრუნა და რამდენიმე მილიონი ზარალი მიიღო“.

თიბისი ბანკის განცხადებაში ნათქვამია, რომ ბანკი არ აპირებს დაექვემდებაროს ქოქოლაძის შანტაჟს და არ მისცემს მას მედიით მანიპულირების შესაძლებლობას: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სამართლებრივად და მორალურად აბსოლუტურად მართლები ვართ, გვსურს არავის და, მათ შორის, არც ბატონ ანზორს არ დარჩეს რაიმე კითხვები ამასთან დაკავშირებით. ამიტომ ჩვენ შევთავაზეთ მას, შანტაჟის ნაცვლად აგვერჩია ისეთი გამჭვირვალე და დემოკრატიული გზები, როგორიცაა დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება და კერძო არბიტრაჟი. სამწუხაროდ, ქოქოლაძემ ორივე შეთავაზებაზე უარი თქვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი მთავარი მოტივაცია სამართლიანობის აღდგენა ნამდვილად არ არის“, – ნათქვამია თიბისი ბანკის განცხადებაში.


# ახალი მთავრობის სრული შემადგენლობა ხვალ გახდება ცნობილი

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბაია კეთილსინდისიერი და განათლებული ადამიანია და იმ შემთხვევაში, თუ იგი მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნება, დევნილთა პრობლემებს რეალურად მოაგვარებს, – განაცხადა „დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების“ წევრმა მამუკა აჩბამ.

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მინისტრობის დარჩენილი კანდიდატები ხვალ, 16 ოქტომბერს დასახელდებიან.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ახალი მთავრობის წევრთა კანდიდატურები წინა კვირაში დაასახელა. ახალ მთავრობაში თავდაცვის მინისტრის კაბინეტს ირაკლი ალასანია ჩაიბარებს. ის, ამავდროულად, ვიცე-პრემიერიც იქნება; ირაკლი ღარიბაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრი იქნება; იუსტიციის სამინისტროს თეა წულუკიანი უხელმძღვანელებს; სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტზე ივანიშვილმა სოზარ სუბარი დაასახელა; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – კახა კალაძე; ის, ამავე დროს, იქნება მეორე ვიცე-პრემიერი; სოფლის მეურნეობის მინისტრი – დავით კირვალიძე; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი – ლევან ყიფიანი; საგარეო საქმეთა მინისტრი – მაია ფანჯიკიძე; კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი – გურამ ოდიშარია; ჯანდაცვის მინისტრი – ამირან გამყრელიძე; დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – კოტე სურგულაძე; ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – ალექსი პეტრიაშვილი; რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – პაატა ზაქარეიშვილი; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი – რევაზ შავიშვილი; ეროვნული ბანკის პრეზიდენტი – ნოდარ ჯავახიშვილი; გენერალური პროკურორი – არჩილ კბილაშვილი; გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი – მაია მიმინოშვილი.

ფინანსთა, ეკონომიკის, განათლების, გარემოს დაცვისა და ლტოლვილთა მინისტრების კანდიდატურები ბიძინა ივანიშვილს გუშინ არ დაუსახელებია. არაფერი უთქვამს დასაქმების სახელმწიფო მინისტრზეც, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ის ამ სამინისტროს გაუქმებას გეგმავს.

იმავე დღეს პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატად ივანიშვილმა რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი დაასახელა. პარლამენტის ვიცე-სპიკერების პოსტებზე წარდგენილი არიან მანანა კობახიძე, ზვიად ძიძიგური, ზურაბ ტყემალაძე და ზურაბ აბაშიძე.

ბიძინა ივანიშვილმა ასევე დაასახელა საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეთა კანდიდატურები:

ადამიანის უფლებათა კომიტეტი – ეკა ბესელია; განათლების კომიტეტი – ვანო კილურაძე; გარემოს დაცვის კომიტეტი – გია ცაგარეიშვილი; დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი – ნოდარ ხადური; ევროინტეგრაციის კომიტეტი – ვიქტორ დოლიძე; თავდაცვის კომიტეტი – ირაკლი სესიაშვილი; იურიდიული კომიტეტი – ვახტანგ ხმალაძე; რეგიონული პოლიტიკის კომიტეტი – ირაკლი ტრიპოლსკი;

საგარეო საქმეთა კომიტეტი – თედო ჯაფარიძე; საპროცედურო საქმეთა კომიტეტი – ირინე დემეტრაშვილი; საფინანსო კომიტეტი – დავით ონოფრიშვილი; სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტი – ლერი ხაბელოვი; ჯანდაცვის კომიტეტი – დიმიტრი ხუნდაძე.

# გელა კვაჭანტირაძე: ნაციონალები ქვეყნის მართვის ბერკეტებს იოლად არ დათმობენ!“

თამარ ნინიძე

**დამოუკიდებელი პოლიტიკური ექსპერტი გელა კვაჭანტირაძე მაღალტექნოლოგიური ცენტრის ავტორია, მან და მისმა მეგობრებმა ინდუსტრიული მეცნიერების განვითარების სისტემური პროექტი შექმნეს. კვაჭანტირაძეს მიაჩნია, რომ მეცნიერებაზე დაფუძნებული მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების გარეშე ქართული ეკონომიკა ვერ განვითარდება მსოფლიო დონეზე. „ახალი თაობა“ გელა კვაჭანტირაძეს ესაუბრა.**

***– საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნების გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის ნიშნები გამოიკვეთა. როგორ შეაფასებთ ამ ვითარებას?***

– არაობიექტური არჩევნები იყო, ხელისუფლება ცდილობდა, გაეყალბებინა ეს არჩევნები, ყველა მეთოდი გამოიყენა საამისოდ, მაგრამ ქართულმა ოცნებამ მაინც მოიპოვა გამარჯვება. ვულოცავ ქართულ ოცნებას და ყველა მის მხარდამჭერს ამ გამარჯვებას, მინდა, იმედი გამოვთქვა, რომ მათი ოცნება იქნება ყველას ოცნება, საზოგადოებაში იქნება პოზიტიური შედეგები. რთულია ჯერ საუბარი ორხელისუფლებიანობაზე, გარდამავალ პერიოდში ვართ, ახალი პარლამენტიც არ შეკრებილა, ახალი მთავრობა არ ჩამოყალიბებულა, გვაქვს მხოლოდ მონახაზი, ამიტომ, როცა ორხელისუფლებიანობაზე ვსაუბრობთ, ეს ჯერჯერობით ვარაუდია, და უნდობლობა წინა ხელისუფლების მიმართ. მათ განაცხადეს, მშვიდობიანად გადავაბარებთ ხელისუფლებას, მაგრამ ხშირად მათი სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცდებოდა, ამიტომ რა ტიპის წინააღმდეგობას გასწევენ გადაბარების დროს, თანაც იმ პოსტებისაც ასევე, რომელიც საპარლამენტო არჩევნებთან არ არის დაკავშირებული, მაშინ გამოჩნდება რეალურად, გადაბარებასთან გვაქვს საქმე თუ – ორხელისუფლებიანობასთან.

***– ფიქრობთ, რომ ნაცმოძრაობა ხელისუფლების გადაბარების შემდეგაც გამოიყენებს თავის სასარგებლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს?***

– მე ვფიქრობ, რომ ნაცმოძრაობა ყველაფერს ილონებს, რომ შეინარჩუნოს თავისი ბერკეტები, რაც მის ხელთ არის და ბრძოლას და რევანშის აღებას ეცდებიან. მე სერიოზულად მაშფოთებს ის, რომ ამ რევანშისტულ განწყობილებას არ მოჰყვეს საბოტაჟი და ხელის შეშლა ახალი ხელისუფლებისთვის. როცა მოდის ახალი ხელისუფლება, მას უჭერდა მხარს ვინმე თუ არა, ყველამ პატივი უნდა ვცეთ ხალხის არჩევანს და ჩვენი ყველას სურვილი უნდა იყოს ის, რომ ეს ხელისუფლება იყოს წარმატებული და ქვეყანას არგოს. არჩევნების წინ ნაცმოძრაობას ბევრი მარცხი მოუვიდა და გადავიდა მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე. ეს ცუდი იყო, ამ ვითარებაში ის ხელისუფლება ნაკლებად ზრუნავს ხალხზე, ქვეყნის განვითარებაზე. ის დრო არ არის, რომ შევაფასოთ ახალი მთავრობის მოქმედებები იმიტომ, რომ ის ჯერ არ შედგომია ქვეყნის მართვას, ნაცმოძრაობას კი ჯერ კარგად არა აქვს გაცნობიერებული ის მარცხი, რომელიც მან მიიღო, ახლა იმის დროა, რომ ძველმა ხელისუფლებამ გადახედოს იმ შეცდომებს და შეაფასოს, რატომ დაემართა ის, ახალმა ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს ზრუნვა მისი პროექტების განხორციელებაზე, ხოლო დამარცხებული ოპოზიციური პარტიების ნაწილმა, ვინც არჩევნებში მონაწილეობდა, გადახედოს თავის სტრატეგიას და მიზნებს. ახლა არის გადაფასებების პერიოდი და ახალი პოზიციების ჩამოყალიბების დრო. ნაცმოძრაობის მარცხი იყო კანონზომიერი, ის, რა პროცენტებიც მან მიიღო სხვადასხვა მანიპულაციებით, მინიმუმ გაორმაგებულია, მას საზოგადოებაში მომხრე აღარავინ დარჩა, აქვს მხოლოდ სახელისუფლებო რესურსი. ნაცმოძრაობამ მიაღწია ერთპარტიულ მმართველობას, ნებისმიერი ასეთი მმართველობის ბოლო ასეთია, ის იწყებს გადაგვარებას, დეფორმაციას, ის კარგავს საზოგადოების ნდობას, ვირტუალურად ცდილობს, დააჯეროს საკუთარი თავიც და საზოგადოებაც, რომ ყველაფერი კარგად არის. დროის ამბავი იყო, ნაცმოძრაობა როგორ დამარცხდებოდა და რა ანგარიშით. სინამდვილეში ბევრად უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდა ნაცმოძრაობა, ვიდრე არჩევნების პროცენტებით აისახა.

***– რომ არა ციხის კადრები, ქართული ოცნების და ნაცმოძრაობის პროცენტები ასეთივე იქნებოდა?***

– ქართულ ოცნებას ისედაც დიდი ელექტორატი ჰყავდა, ციხის კადრების გარეშეც, ეს იყო საპროტესტო ელექტორატი, კოალიციის პარტიების რეიტინგი განსაზღვრა ბიძინა ივანიშვილმა, მისმა სახემ რაც ჩამოყალიბდა წლების მანძილზე და ერთობის იდეამ. მართალია ციხის მოვლენებმა მკვეთრად შეცვალა სურათი, ნაცმოძრაობას მოლოდინი ჰქონდა, რომ 55% უნდა ჰქონოდა, 35% – ქართულ ოცნებას, მაგრამ ციხის ამბებმა ეს სურათი მთლიანად გადაატრიალა. საშინელება იყო ის, რაც ციხეში ხდებოდა, გამოჩნდებოდა ბევრი სხვა რამ კიდევ, რაც ახასიათებს ასეთ ტოტალიტარულ მმართველობებს. კარგია, რომ არ მივედით სისხლის ღვრამდე და არჩევნები მშვიდობიანად დასრულდა. 2003 წელს, როცა ნაცმოძრაობა მოვიდა რევოლუციით, დიდი მხარდაჭერა ჰქონდა საპროტესტო საზოგადოების მხრიდან. ნაცმოძრაობის პროექტები საზოგადოებამ დადებითად მიიღო, ორასწლიანი იმპერიული ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ქართველი საზოგადოება საჭიროებდა ევროპულ ღირებულებებთან დაბრუნებას, მაგრამ ნაცებმა დაისახეს მიზნად მენტალური რევოლუცია, საზოგადოების ტრანსფორმაცია დაისახეს მიზნად საეჭვო ღირებულებებით უსწრაფეს დროში. ზერელე მიბაძვა იყო ცივილიზებული სამყაროსადმი განათლებაში, კულტურაში, ეკონომიკაში.

***– ის, რომ ნაცმოძრაობამ ინფრასტრუქტურის განახლება მოახდინა და გზები გააკეთა, საკმარისი იყო, ამ დროს პარალელურად ადამიანის უფლებები უხეშად ირღვეოდა?***

– ყველა სტრუქტურაში განიცადა ლპობა სააკაშვილის ხელისუფლებამ. ციხეები გამოვლინდა, ეს მოვლენები ხდებოდა ყველა სფეროში, ამათ გამოაცხადეს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ორმოც წელს ზევით ჩასარეცხი იყო და გამოუსადეგარი, გაწირეს ეს თაობა, ეს იყო მიუღებელი პოზიცია, ამათი მიზანი უნდა ყოფილიყო იმაზე ზრუნვა, როგორ მიეღწიათ ეკონომიკური განვითარებისთვის და ხალხის დასაქმებისთვის. სიმდიდრის წყარო არის შრომა. უნდა შექმნილიყო საშუალო ფენა, რომელიც ყველა ნორმალურ ქვეყანაში დემოკრატიის საფუძველი და ხერხემალია. ამათ გაყვეს საზოგადოება ორ ნაწილად, ერთი ნაწილი, მათი აზრით, განწირული იყო და თავიდან უნდა მოეცილებინათ და მეორე ნაწილისთვის კი პრივილეგიები მიენიჭებინათ. ელიტური ჯგუფი შექმნეს ყველა სფეროში, ყველაფერი მონოპოლიზებული გახდა, კერძო საკუთრების პრინციპი საერთოდ გაქრა. გავა წლები და საზოგადოება კიდევ უფრო გააცნობიერებს, რა კოშმარში უცხოვრია ნაცმოძრაობის პირობებში. რუსეთი რომ საფრთხეს წარმოადგენს, ეს ისედაც გასაგებია, მაგრამ ესენი ოსტატურად ეფარებოდნენ ამ ფაქტორს, სათავისოდ იყენებდნენ არა იმისთვის, რომ მართლა საფრთხეს ებრძოლო გონივრულად. ესენი ამბობდნენ, ხელს თუ დაგვაკარებთ, რუსეთი შემოვა და დაგიპყრობთო. დასავლური კურსი სწორად კი ჰქონდათ დეკლარირებული, რომელსაც ახალი ხელისუფლება და ყველა ნორმალური ადამიანი იზიარებს, რაკი მას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია, სააკაშვილის ხელში ეს კურსი ვერ შესრულდა, საგარეო პოლიტიკა არის საშინაო პოლიტიკის გაგრძელება და როცა ხელისუფლება საშინაო პოლიტიკაში ტოტალიტარიზმის მიმართულებით მიდის, საგარეო კურსიდან თუნდაც დასავლურისგან, სასიკეთო აღარაფერი რჩება. ნატო არის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, ნატო აფასებდა იმას, რომ



საქართველო საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში აქტიურად არის ჩართული, მაგრამ ამავდროულად მოითხოვდა სააკაშვილის ხელისუფლებისგან ძირეულ დემოკრატიულ რეფორმებს სასამართლოებში, განათლებაში, თავისუფალ ბიზნესში, მედიაში, კერძო საკუთრების პატივისცემაში. ის ხელისუფლება კი რადიკალურად სხვა გზას ადგა და არ ითვალისწინებდა ნატოს ამ სტანდარტებს. თუ ახლა ნაცმოძრაობა რევანშით აპირებს დაბრუნებას, ეს გამორიცხულია,

***– შევარდნაძის მთავრობაში რევაზ შავიშვილი, როგორც ოპოზიციონერი, კონტროლის პალატას ხელმძღვანელობდა, ნაცმოძრაობა არ თმობს აუდიტის სამსახურს, არც ეროვნულ ბანკს და რიგ საკვანძო პოსტებს, ხომ არ შეიქმნება პრობლემები ახალ ხელისუფლებასა და ნაცმოძრაობას შორის?***

– იურიდიულად ეს პრობლემები არსებობს, მაგრამ ეს სტრუქტურები პოლიტიზებულია, ვნახეთ, როგორ იქცეოდა ეროვნული ბანკი, აუდიტის სამსახური, სასამართლოები, მორალური უფლება რომ პოსტებზე დარჩნენ ამ უწყებების ხელმძღვანელები, არა აქვთ. თანაც ისინი კანონის დარღვევით მოქმედებდნენ. მათ პასუხი მოეთხოვებათ. პოლიტიკურ საფლავში არ უნდა ჩაყვნენ იმ ხელისუფლებას, რომელმაც ბევრი რამ დააშავა.

***– რუსეთის რეაქცია იყო უცნაური, არც მილოცვები იყო, არც მზადყოფნა დიალოგისთვის, როგორც ჩანს, დაბნეულია რუსეთის პოლიტიკური ელიტა, რადგან ელოდნენ აქ სამოქალაქო დაპირისპირებას და ძალადობას სააკაშვილის მხრიდან, მაგრამ სულ არ ელოდნენ ნაცმოძრაობისგან მარცხის აღიარებას. ცხადია, აქ რომ სისხლი დაღვრილიყო რუსეთისთვის, ეს ხელსაყრელი იქნებოდა, საქართველო წარმოეჩინა როგორც არასტაბილური ქვეყანა. როგორ აფასებთ რუსეთის ამ ურეაქციობას?***

– რუსეთის პოლიტიკა ყოველთვის ხისტი იყო, დიდი დახვეწილობით არ გამოირჩეოდა. იყო მაინც განცხადება რუსეთის პოლიტელიტისგან, რომ მიესალმება ცვლილებებს საქართველოს ხელისუფლებაში, მაგრამ კონკრეტული პროგრამა არ ყოფილა.

***– ასევე შეგახსენებთ რუსეთის საგარეო უწყების პოზიციას, რომ საქართველოს ახალ მთავრობას არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებლობაზე უარს იტყვიან და მოუწოდა საქართველოს ახალ ხელისუფლებას, ხელი მოაწეროს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას.***

– სახელზე და გვარზე არ არის დამოკიდებული, საქართველოში ვინ მოვა, რუსეთის პოლიტიკა ისევ რჩება უცვლელი, აბსურდია იმის იმედი, რომ რუსეთი რაიმეს დაგვითმობს. იყო კითხვები ივანიშვილის მისამართით, ხომ არ არის ის რუსული პროექტი, არჩევნების შემდეგ რუსეთმა დაინახა, რომ პრეზიდენტი და მომავალი პრემიერი ერთმანეთს შეხვდნენ, ივანიშვილმა არჩევნების შემდეგაც გაიმეორა, რომ საქართველოს გზა ნატოსა და ევროკავშირისკენ არ გადაიხედება. ასევე პირველად სწორედ ვაშინგტონში ჩავა ვიზიტით, საკვანძო პოსტებზე ინიშნებიან დასავლური ორიენტაციის ადამიანები, უსუფაშვილი, ალასანია, წულუკიანი.

ახლა უფრო სწორ გზაზე ვართ ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით, ვიდრე ვიყავით არჩევნებამდე ნაცმოძრაობის მმართველობის ბოლო პერიოდში.

კარგია საქართველოს ისტორიაში პირველად ქვეყნის პირველი პირი იქნება ბიზნესმენი და ეკონომისტი. დასაქმება, სოფლის განვითარება, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა ყველა პარტიას ჰქონდა პროგრამაში, მაგრამ ქართულმა ოცნებამ გამარჯვების შემდეგ დასვა საკითხი ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენის შესახებ. ბიზნესის განთავისუფლება, სოფლის განვითარებისთვის ფონდის შექმნა, ეს ძალა უკვე ამბობს ამას. ერთი სერიოზული ხარვეზი აქვს ქართული ოცნების პროგრამას, გასაგებია, რომ სოფელს შველა სჭირდება და აგრარულ სექტორს – განვითარება, მაგრამ მხოლოდ სოფელი საქართველოს ეკონომიკას ვერ გადაარჩენს, მომსახურების სფერო და მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიული დარგები არის წამყვანი სფეროები ყველა სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების საწინდარი. მე ვარ ავტორი მაღალტექნოლოგიური ცენტრის ჩამოყალიბების, ამ პროექტს ანადგურებდა ყველა ხელისუფლება. სისტემური პროექტი შევქმენით მე და ჩემმა მეგობრებმა მაღალტექნოლოგიური სისტემის განვითარებისა. ეს არის ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარება ქვეყანაში. ეს არის მაღალი ტექნოლოგიები, განათლება და მეცნიერება. ქვეყანას ხელს შეუწყობს, გავიდეს მსოფლიო ეკონომიკის დონეზე. ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ იქნება განათლების და ეკონომიკის მინისტრი, ამ ორ სფეროზე დამოკიდებულია დიდწილად ქვეყნის განვითარების პროცესი სწორად წარიმართება თუ არა. უსუფაშვილი იქნება ისეთი კარგი პარლამენტის თავმჯდომარე, რომლის მსგავსი ჩვენ ჯერ არ გვყოლია. თეა წულუკიანის მსგავსი იუსტიციის მინისტრი არ გვყოლია. ეს მალე გამოჩნდება.


## თიბისი ბანკი მეანაბრეებისათვის გათამაშებას იწყებს!

განსაკუთრებული პირობები და შეთავაზება თიბისი ბანკის მეანაბრეებს! ისინი, ვინც 9 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გახსნიან ანაბარს თიბისი ბანკში, ჩაერთვებიან საახალწლო გათამაშებაში და ექნებათ შანსი, მოიგონ 10,000, 15,000 და 20,000 ლარი!

გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გახსნათ „ვადიანი“, „ვადიანი+“, ოქროს, ბონუს ან ანაბარი „ჩემი მიზანი“ თიბისი ბანკში მინიმუმ 1,000 ერთეულით (ლარი, აშშ დოლარი, ევრო ან ფუნტი). ყოველ 1,000 ერთეულზე თქვენი 1 ბილეთი განთავსდება დოლურაში.

გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ თიბისი ბანკის არსებული მეანაბრეებიც, რომლებსაც ანაბარი „ჩემი სეიფის“ ანგარიშზე გათამაშების დასრულებამდე ყოველი თვის ბოლო რიცხვში არსებული მინიმალური ნაშთი ექნებათ 1,000 ლარი, დოლარი, ევრო ან ფუნტი.

გათამაშება შედგება 2013 წლის 14 იანვარს, საღამოს 20:00 საათზე. გათამაშების მონაწილეებს შეუძლიათ, ონლაინ რეჟიმში, ლაივსტრიმის მეშვეობით, თვალი ადევნონ გათამაშებას, რომელიც თიბისი ბანკის Fაცებოოკ-ის გვერდზე (ფაცებოოკ.ცომ/თBჩBანკ) გადაიცემა. გათამაშებისას გამოვლინდება სამი გამარჯვებული მეანაბრე, რომლებიც გახდებიან 10,000, 15.000 და 20,000 ლარის მფლობელები!

მაშ ასე, იჩქარეთ, გახსენით ანაბარი თიბისი ბანკში, ისარგებლეთ განსაკუთრებული პირობებით და მოიგეთ 10,000, 15,000 და 20,000 ლარი და დაიწყეთ ახალი ცხოვრება ძველით ახალ წელს!

აქცია გრძელდება 31 დეკემბრამდე!

გახსენით ანაბარი

მოიგეთ

10.000

15.000

20.000

საუკეთესო ადგილი თქვენი დანაზოგისთვის

გულიკო ბალაძე

# პეტრე მამრაძე: სააკაშვილი დაპატიმრებას ელოდება“



**პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ სააკაშვილი არის ბოღმიანი კაცი, რომელიც წაგების შემდეგ ფიქრობს რევანშსა და შურისძიებაზე. დღეს ის ძალიან რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია და ყოველ 15 წუთში დაპატიმრებას ელოდება. ასევე რა რევანშისტულ გეგმებს აწყობს სააკაშვილი, ამის თაობაზე გვესაუბრება პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე.**

***— ბატონო პეტრე, დღეს ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი დამარცხებულია, თუმცა, სააკაშვილი რაღაცნაირად ფიქრობს ძალაუფლების შენარჩუნებაზე. თქვენი ანალიზი როგორია? სხვათა შორის, თქვენ მოვლენების სხვაგვარი განვითარების სცენარზე საუბრობდით.***

— მე ვამბობ იმას, რასაც ისინი აპირებენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვამბობ, რომ ასე იქნება, ამას შეძლებენ. როცა ხაშურში სპეცნაზი შეუშვეს. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მიდიოდნენ არა მხოლოდ მასობრივ გაყალბებაზე, არამედ ძალადობაზეც, მაგრამ არ გაუვიდათ. ციხის კადრებმა ვითარება მკვეთრად შეცვალა. ახლა უკვე ზონდერბრიგადების გამოყვანას და ხალხის დახვრეტას ველარ გაბედავენ. პოლიციაში და ყველგან ვითარება შეცვლილია. როცა გეუბნებოდით, რომ ივანიშვილს დააბრალებენ კრემლის აგენტობას, ჩხრეკას ჩაუტარებენ, იარაღს ჩაუდებენ, შემდეგ იმ იარაღს ამოიღებენ და დააპატიმრებენ-მეთქი ყველას, ცხადია, ამას ველარ გაბედავდნენ. გარდატეხა შეიტანა ციხის კადრებმა და ამ კადრებით გამოწვეულმა რეაქციამ, სტუდენტების მღელვარებამ.

***— რომ არა ციხის კადრები, სააკაშვილი გაბედავდა ძალადობის გაგრძელებას?***

— სააკაშვილს ძალადობა არ დასჭირდებოდა და რატომ? ყველა ექსპერტის შეფასებით, ციხის კადრების შემდეგ, სააკაშვილის ნაციონალურმა მოძრაობამ ხმების, სულ ცოტა, 20% დაკარგა. ეს დაკლებული პროცენტი დაემატა ივანიშვილის „ქართულ ოცნებას“.

***— სააკაშვილმა რა ხმებიც მიიღო, რეალურად, ისიც ხომ გაყალბებულია?***

— ციხის კადრები რომ არ ყოფილიყო, მასობრივი გაყალბებით, არჩევნების წინა დღეებში დაშინებით, დაძალებით, პრობაციონერებზე და პატიმრების ოჯახებზე ზეგავლენით, სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავეთა ოჯახების მხარდაჭერით სასურველ შედეგს მიაღწევდნენ. შემდეგ ჩვენ შეიძლებოდა გველაპარაკა, რომ გააყალბეს. ციხის კადრები რომ არა, ნაციონალები დაიწერდნენ 65%-ს. მე გეუბნებით მათ ზრახვებს. ბოლო დროს, ციხის კადრების ჩვენებამდე, უწყვეტ რეჟიმში უთვლიდნენ (ამას ჟურნალისტებსაც ეუბნებოდნენ კონფიდენციალურ საუბრებში), რომ 85%-ც რომ აიღოს ოცნებამ, 35%-ზე მეტს ვერ დავუწერთ, მერე მასობრივად რომ გააპროტესტონ, მიიღებენ სისხლის ღვრასო. მე ეს ერთმა ჟურნალისტმა გამანდო. ასევე ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ „ოცნებას“ შეუთვალეს, თუნდაც 85% აგიღიათ, მაინც 35%-ს დაგიწერთ და, თუ მაინც მასობრივი პროტესტი იქნება თქვენი მხრიდან, მოხდება სისხლის ღვრაო. ამაზე მე ძალიან მკვეთრად ვთქვი, რომ ეს არის კურიოზული განცხადება — „მოხდება სისხლის ღვრა“, რა, ეს ვულკანის ამოფრქვევაა? ნუ დაღვრი სისხლს, ნუ ჩაიდენ დანაშაულს და არ მოხდება სისხლის ღვრა, ხომ შენზეა დამოკიდებული.

***— მიუხედავად ნაციონალების ასეთი გეგმისა, გარკვეული ფაქტორების გამო, „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. როგორც ახლა მჟღავნდება, ამერიკის ძალისხმევაც იყო, რომ სააკაშვილი მასობრივ ძალადობაზე ვერ გადავიდა.***

— გავიხსენოთ ხაშურის მოვლენები, სადაც ნაციონალებმა ჩართეს თავიანთი ძალადობის გეგმა, მაგრამ არჩევნების მეორე დღეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სააკაშვილზე ძალიან ძლიერი ზეწოლა მოახდინეს. მათ სააკაშვილი პირდაპირ გააფრთხილეს, რომ თუ წავიდოდა ძალადობასა და მასობრივ გაყალბებაზე, არ აღიარებდა ოპოზიციის გამარჯვებას, ისინი საჯაროდ გამოაცხადებდნენ, რომ საქართველოში მოხდა ძალაუფლების საბოლოო უზურპაცია, დამყარდა დიქტატურა და ყოველმხრივ გაემიჯნებოდნენ.

***— ამის შესახებ თქვენ, ალბათ, კულუარებიდან გაქვთ ინფორმაცია.***

— დიახ და, როგორც დიქტატურებთან აქვთ ხოლმე, შესაბამისი რეჟიმი ურთიერთობისა, ისე ექნებოდათ სააკაშვილთან. რა თქმა უნდა, ზოგიერთმა მაშინვე უთხრა სააკაშვილს, თუ ასე იქნება, გაგემიჯნებითო (ყველას უნდა, მომავალი ჰქონდეს). კაცი, რომელიც ამას მიყვებოდა, თანაც ხუმრობდა, ამერიკელები შევიდნენ სააკაშვილთან დიპლომატიური ცოცხებითა და დიპლომატიური რეზინის ხელკეტებით და სააკაშვილის კაბინეტიდან სულ ყვირილი ისმოდა: „ბიძია, ნუ მცემ, ბიძია, მტკივა“. ასეთი ტრაგიკომიკური სურათი დახატა იმ კაცმა. მართლაც, სააკაშვილმა გააცილა ამერიკელები და შემდეგ გამოაცხადა, ოპოზიციაში გადავდივარო. ეს იყო აბსოლუტური, ძალიან ძლიერი ზეგავლენა სააკაშვილზე. სხვათა შორის, ჯონ ბასი დაინიშნა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში საკვანძო თანამდებობაზე, აღმასრულებელ მდივნად. ესეც მრავლისმეტყველია.

***— მიუხედავად სააკაშვილის აღიარებისა, წავაგეო, დღეს რაღაცნაირად იგრძნობა, რომ მას არ უნდა ძალაუფლების დათმობა.***

— იგრძნობა კი არა, ასეა. ოპოზიციაში გადავდივართო, სააკაშვილმა განაცხადა და შემდეგ მოვისმინეთ ბოკერიას გამოსვლა „რუსთავი-2“-ზე, რომელი განცხადებიდანაც ყველაფერი აშკარა იყო. მეორე დღეს დავით ბაქრაძემ ჩაატარა პრესკონფერენცია, ჩვენს ხელთ არის პოლიტიკური კრიზისის გამოწვევის კონსტიტუციური მექანიზმი, მაგრამ ამას არ ვიყენებთ, ეს კეთილი ჟესტია ჩვენი მხრიდან. კეთილი ინებოს მეორე მხარემ და შესაბამისად მოიქცეს, თორემ კრიზისის გამოწვევის მექანიზმი ხელში გვაქვსო. ბოკერიამ განაცხადა, ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის გადადგომა მოითხოვაო, რაც არის სრული ტყუილი. იმის მაგივრად, რომ შეესწავლათ, სტრიპტიზკლუბში რა უნდოდა უგულავას, ასეთ განცხადებებს აკეთებენ.

***— რას უნდა ველოდოთ სააკაშვილისაგან? გამოჩნდა, რომ დამარცხებული ნაციონალები თავიანთი ხელისუფლების მცირე კუნძულებს აძლიერებენ. გართულებები იქნება?***

— აშკარაა, რომ სააკაშვილს და მის თანამზრახველებს, კრახგანცდილი სადისტური სისტემის თავკაცებს, აქვთ რევანშისტული გეგმა. ისინი უკვე შეუდგნენ ამ გეგმის განხორციელებას. რას ნიშნავს ეს? 1. მათ ხელში, მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად, რჩება ძალზე ძლიერი ბერკეტები. ეს არის პრეზიდენტის პრაქტიკულად უსაზღვრო უფლებები. აგერ პრეზიდენტი ხომ გამოსცემს რაღაც ბრძანებებს და განკარგულებებს. ყველა ბრძანებულებიდან ჩანს, სურს გააძლიეროს თავისი პირადი გავლენა. ალბათ, გახსოვთ, სამთავრობო დაცვასა და პირად დაცვას რომ დაავალა რაღაც და სხვა. 2. ეროვნული ბანკი, სასამართლო, კონტროლის პალატა, აუდიტის სამსახური და სხვა ამგვარი ინსტიტუტები, რომელიც პარლამენტის ნომენკლატურაა, არჩეულები არიან, თავიანთი ვადა აქვთ და მასში ცვლილების შეტანა საკმაოდ რთული იქნება.

***— „ქართული ოცნება“ უკვე კადრებს რომ არჩევს?***

— ამ კადრების შერჩევაზე ბაქრაძემ მაშინვე შეახსენა „ქართულ ოცნებას“ და მთელ საქართველოს, რომ პარლამენტს არანაირი უფლება არ აქვს, გამოცვალოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და გენერალური აუდიტორი. ბაქრაძემ განაცხადა, კანონი ასეთიაო. კანონით მართლა შეეძლო სააკაშვილს, პრემიერად მერაბიშვილი წარედგინა. ჩაგდების შემთხვევაში 6 თვის შემდეგ დაითხოვდა პარლამენტს. მანამდე დაავალებდა მერაბიშვილს და სხვებს მოვალეობის შესრულებას. ამის სრული უფლება ჰქონდა.

***— თუმცა სააკაშვილმა ეს ვერ გააკეთა თუ არ გააკეთა?***

— სააკაშვილმა ეს არ გააკეთა. მან მხოლოდ იმის გამო არ ისარგებლა თავისი კონსტიტუციური უფლებებით, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით მასობრივ პროტესტს გამოიწვევდა და მას მოუხდებოდა გადადგომა და გაქცევა. „კეთილი ნება“ მხოლოდდამხოლოდ იმის გამო გამოხატა, რომ სხვანაირად ილუპებოდა. ეს „კეთილი ჟესტი“ რომ არ გაეკეთებინა, დასავლეთისაგანაც შესაბამის რეაქციას მიიღებდა. მიხვდა რა, რომ ბევრი ხალხი გამოვიდოდა ქუჩაში მისი გადადგომის მოთხოვნით, არ ისარგებლა კონსტიტუციური უფლება-მოვალეობით და „დიდსულოვნად“, მთელი მსოფლიოს წინაშე საქართველოს გამოუცხადა, კი ბატონო, თქვენ დააკომპლექტეთ მთავრობა და მე მას მივიღებო. შემდეგ ბოკერიამ და სხვებმა განაცხადეს, ჩვენ გვაქვს ბერკეტი პოლიტიკური კრიზისის გამოწვევისა, მაგრამ არ ვიყენებთო. იქით ამადლიან „ოცნებას“ და ქართველ ხალხს, ნახეთ, როგორი ცივილიზებულები და კომპრომისზე წამსვლელები ვართო.

***— მაშ, რევანშის განხორციელებას როგორ გეგმავენ? „ქართულ ოცნებას“ არ მისცემენ საშუალებას, რეალური ძალაუფლება აიღოს?***

— ყოველმხრივ ეცდებიან, გამოიყენონ ყველა შესაძლო ბერკეტი, მათ შორის, ქალაქის მერია. უგულავა უკვე ქმნის საკუთარ პოლიციას. პარლამენტს მისი გათავისუფლება პირდაპირ კანონიერად არ შეუძლია. ის „ხალხის მიერაა არჩეული“.

***— თბილისის მერი საკუთარ ძალოვან სტრუქტურას რომ ქმნის, ამის გამო პარლამენტს არ შეუძლია, უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი დასვას?***

— პარლამენტს და ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ჯერჯერობით სასამართლოები მათ ხელშია — კუბლაშვილიც რჩება და პაპუაშვილიც. თუმცა, ბერკეტები, რა თქმა უნდა, არსებობს და მოქმედებაა საჭირო. იგივე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართ კანონიერი პრეტენზიები არ არსებობს? ვინ ანადგურებდა უკანონოდ „ქართუ ბანკს“? ის ქვემდებარეა და პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე. რატომ უნდა უცადოს პარლამენტმა მაინცდამაინც ვადის გასვლას? რატომ არ უნდა დააყენოს კანონის ფარგლებში (უკანონობა გვეყოფა, რაც იყო) მისი გადაყენების საკითხი პარლამენტმა, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაუშვა ეს, ეს და ესო. ნაციონალებს როგორც თბილისში, ისე რეგიონებში ადგილობრივი მმართველობებისა და თვითმმართველობების ბერკეტი რჩებათ. ასე ჰგონიათ მათ. სინამდვილეში საქმე უფრო რთულადაა, მაგრამ მათ ამ ბერკეტის ამუშავება უნდათ. ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობა მათი ნების უპირობო შემსრულებელი იყო ყველა რაიონსა და სოფელში. ამის გამოყენება აქვთ გადაწყვეტილი. შემდეგ ყველა არაფორმალური ბერკეტის გამოყენება, მონოპოლიების გამოყენება, ბიზნესზე გავლენა. დღეს ხომ ისინი მილიონერები არიან და ბიზნესს აკონტროლებენ. ეს ყველაფერი მათ უნდათ გამოიყენონ (უნდათ, თორემ კი არ ვამბობ, რომ გამოუვათ) და მოახდინონ კოალიცია „ქართული ოცნების“ სრული დისკრედიტაცია, მარგინალიზაცია ქართველი ხალხის თვალში, დასავლეთის თვალში. ნებისმიერ პატარა რაღაცაზე წამოვა ნაკადი ბრალდებებისა: ჩვენ დროს ასე არ იყო, ჩვენ დროს ყველაფერი კარგად იყო, ეს თქვენ დროს ხდებაო. შეეცდებიან, კრიმინოგენური ვითარება გააუარესონ და დააბრალონ „ქართულ ოცნებას“.

***— თავიანთი ზონდერების მეშვეობით?***

— ზონდერების მეშვეობითაც შეეცდებიან და პოლიციაში შემორჩენილი მათი ხალხით, თუ ჰყავთ შემორჩენილი, მათ დაავალებენ, თქვენ ცოტა თვალები დახუჭეთო. მერე იტყვიან, რა კარგად მუშაობდა პოლიცია, პატრული. თქვენ მოხვედით და დაეცა მუშაობის დონეო. ბიუჯეტი რომ ვერ შესრულდეს? რომ ვერ გადაიხადოს დროზე ხელფასები და პენსიები? ნაციონალები ბიზნესმენებს წინასწარ ახდევინებდნენ. ზოგს აყაჩაღებდნენ პირდაპირი გაგებით. ბიუჯეტს ასრულებდნენ არა ნორმალური ცივილიზებული გზით გადასახადის აკრეფით, არამედ დატერორებით. ვთქვათ, არ შესრულდა დეკემბრის ბიუჯეტი, ღმერთმა ნუ ქნას!

***— თუ ნაციონალები შეეცდებიან რევანშისტული განწყობილებების შექმნას, „ქართული ოცნება“ არ გააგებინებს ხალხს, რეალურად როგორ უშლიან ხელს? ამან ხომ შეიძლება, სახალხო მღელვარება გამოიწვიოს და სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა ღიად და აშკარად დადგეს?***

— ამას გეუბნებით. ყველაფრის გადაბრალებას და ცილისწამებას მიმართავენ 6 თვის შემდეგ, როცა კონსტიტუცია უფლებას მისცემს სააკაშვილს, პარლამენტი დაშალოს, მაშინ საკმაო რაოდენობის ადამიანის მხარდაჭერის მოპოვებაზე ფიქრობს და მხარდაჭერის პირობებში ოქტომბრისთვის დანიშნოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები ერთად. მსგავსი დომინირების ფარგლებში. ხაზს ვუსვამ, გიყვებით იმას, რაც სააკაშვილსა და მის ჯგუფს აქვს გადაწყვეტილი.

***— ხალხს შეიძლება დაავიწყდეს ის წამებები, შევიწროვება, რასაც სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ახორციელებდა ხალხის წინააღმდეგ, მათ დასათრგუნად?***

— მე ამას, პრაქტიკულად, გამოვრიცხავ, მაგრამ განგაშს ვტეხ იმის გამო, რომ მათ ეს უნდათ და ამისთვის ყველაფერს გააკეთებენ. განსაკუთრებით იბრძოლებენ იმისათვის, რომ ბიუჯეტი არ შესრულდეს. ერთი წამით წარმოიდგინეთ, ბიუჯეტი რომ ვერ შესრულდეს და „ოცნებამ“ პენსიები და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასები ვერ გასცეს. ეს უკვე ბიუჯეტის დავალიანებაა.

***— სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ თუკი რაიმე პრობლემა იქნება, ის კანონიერი გზებით საკუთარი სახსრებით დაეხმარება სახელმწიფოს.***

— რა თქმა უნდა, რესურსები არსებობს. უფრო მეტიც, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ნაწილისა და მასმედიის ვალია, ყოველდღე, უწყვეტ რეჟიმში ახალ-ახალი მტკიცებულებებით შეახსენოს ხალხს და სააკაშვილის უამრავი უკანონო საქმე. დღეს ასობით ათასი პრობაციონერი გვყავს. ამ ადამიანების დიდ ნაწილს ქონება და ფული წაართვეს უკანონოდ, საპროცესო გარიგება აიძულეს. ყოველ დღეს ეს საქმეები უნდა მზეურდებოდეს, მოლაპარაკების ჯგუფში მყოფი ნაციონალური მოძრაობის სახეები, რომლებსაც არ აქვთ არანაირი მორალური უფლება, საზოგადოებაში ჩნდებოდნენ. კუბლაშვილები იქნებიან თუ სხვები, პარლამენტის წევრები ფიცის გამტეხნი არიან. 4 წლის განმავლობაში უამრავ დანაშაულს ჩადიოდნენ.

***— თქვენ ყოველთვის აღნიშნავდით, რომ სააკაშვილი რევანშისტულად არის განწყობილი. ხომ შეეძლო, ღირსეულად წასულიყო, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია. რატომ გაბოროტდა სააკაშვილი?***

— ეს მის ხასიათშია. ძალაუფლებით ტკბობის გარეშე მას სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. ამავდროულად, როდესაც 2008 წლის იანვარში წააგო თბილისში, ქუთაისში, თელავში, ბათუმში, ფოთში (ყველგან წააგო, მაგრამ რიგი რეგიონების მეშვეობით აჯობა ლევან გაჩეჩილაძეს), მაშინ ჩაიდო გულში (მე მას კარგად ვიცნობ) ბოღმა და თქვა, მე ისეთ რაღაცას გავაკეთებ, ამ ყველაფერს გადაფარავსო. იმიტომ განახორციელა 2008 წლის აგვისტოში...

***— ომი?***

— სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა. ომის დამწყები ეგ არ არის, ასი წელი. იცით თქვენ, გორში როგორ გაიქცა. მაგრამ სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა მოაწყო, რომელსაც გარდაუვალი კატასტროფა მოჰყვა. ამბობდა, შემოვიერთებ მთელ ცხინვალის რეგიონს, აფხაზეთის ნაწილსაც დავიბრუნებთ, რუის-ურბნისის კრებასაც ჩავატარებთო. თავის თავს ხედავდა დავით აღმაშენებლის ტოლ მოღვაწედ. შემდეგ ეკლესიასაც დაიქვემდებარებდა და საქართველოს ისტორიაში შევიდოდა დიდ მოღვაწედ. ხალხიც აპატიებდა, რაც ჩაიდინა, ვთქვათ 2007 წლის 7 ნოემბერს. მთელმა ქვეყანამ და მსოფლიომ ნახა უმდიდრესი ვილები, ბიძამისმა თემურ ალასანიამ და სააკაშვილმა რომ წამოჭიმეს. მერე კი მოუწია დანგრევა, მაგრამ, როდესაც „იმედი“ აჩვენებდა კადრებს, რომ სრულიად უკანონოდ აქვს აშენებული ვეებერთელა მდიდრული ვილა, რამხელა დამცირება იყო.

***— ახლა, როცა სააკაშვილმა სრული კრახი განიცადა პოლიტიკური ამბიციების გამო, როგორ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია?***

— ძალიან რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. უცხოელები, ვინც მასთან ხშირად დადიან, მათგან ვიცი (ეგ ხომ ფსიქოპატია), რომ განწყობა ეცვლება ძალიან სწრაფად — შეიძლება 15 წუთში ერთხელ შეეცვალოს განწყობა.

***— ეს რას ნიშნავს?***

— ერთი მომენტი საშინელ დეპრესიაშია, ჰგონია, რომ ახლა შევლენ და დააპატიმრებენ. უცხოელებს ეუბნება, ხომ გეუბნებოდით, არ განახორციელოთ ეს პროექტი, რომელიც უკრაინაშია. როგორც იანუკოვიჩი მოიყვანა კრემლმა ხელისუფლებაში, იანუკოვიჩს დააპატიმრებინა ტიმოშენკო, ასე გააკეთებენ აქ და შემდეგი ნაბიჯია ჩემი დაპატიმრება. ტიმოშენკო მათთვის მე ვარო.

***— მერედა, არ არის დასაპატიმრებელი სააკაშვილი?***

— როგორ არ არის. ამით უცხოელებს ეუბნება, დემოკრატიის შუქურა ვარო. დღის მეორე ნახევარში, ვთქვათ, როდესაც ხალხს შეკრებენ და ეტყვიან,: მიშა, შენ ხალხს უყვარხარ, იქ ხალხი გელოდება, წაიყვანენ აბანოთუბანში და „მიშა მაგარიას“ ყვირილი იქნება ფსიქოთერაპიის სახით, დეპრესია გადაუვლის და ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მართვა არ შეუძლია...

***— სააკაშვილი ასე ამბობს?***

— ასე ჰგონია სააკაშვილს. ფიქრობს, რომ შეცდომებს დაუშვებენ, გაამართლებს მის მუშაობას და გამოიწვევენ დესტაბილიზაციას. „იმედზე“ რომ გასართობი პროგრამები დაიხურა, ეს შემთხვევითია? „იმედი“ სააკაშვილის პროპაგანდისტულ მანქანად უნდა გადაიქცეს. ის შეასრულებს იმ როლს, რა როლსაც ვარდების რევოლუციის დროს „რუსთავი-2“ ასრულებდა. სამაგიეროდ, სააკაშვილის გუნდში არიან ადამიანები,, რომლებმაც იციან, რამდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი არა მარტო ზნეობრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ სისხლის სამართლის დანაშაული და არ ერიდებოდნენ პარლამენტარის ფიცის გატეხას.

# ლევან რამიშვილი: ვფიქრობ, ნაციონალურ მოძრაობას“ ძველ პოზიციებზე დასაბრუნებლად ძალიან დიდი დრო დასჭირდება“

**კომერსანტის“ ინტერვიუ ექსპერტთან, ვარდების რევოლუციის“ იდეოლოგთან, ლიბერტარიანელ ლევან რამიშვილთან**



***— საქართველოში პარლამენტი შეიცვალა, ოპოზიცია ხელისუფლება გახდა, ხელისუფლება კი ოპოზიცია. ამასთან დაკავშირებით ბევრი საშიშროება იქმნება — შეიძლება თუ არა კრიმინოგენული სიტუაცია გაუარესდეს, შეიცვლება თუ არა საგარეო კურსი? ვიღაცამ უკვე ჩაალაგა ჩემოდანი, ვიღაც უკვე, როგორც ამბობენ, გაემგზავრა. თქვენ არ გეშინიათ?***

— არა, თუმცა არის გაურკვევლობა — ჩვენ პირველად ვცვლით ხელისუფლებას არჩევნების გზით და სამწუხაროდ, არ არის ის პოლიტიკური კულტურა, რომელიც ახლა გაგვააზრებინებდა, როგორ განვითარდება ქვეყანა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. საქართველო დემოკრატიული ქვეყანა ხდება და თავად ის ფაქტი, რომ პირველად ჩვენს ისტორიაში, ხელისუფლება არჩევნების გზით იცვლება და არა რევოლუციურად, როგორც ადრე იყო, ძალიან პოზიტიურია.

***— მიხეილ სააკაშვილის მიერ დაწყებული რეფორმები მისი პარტიის დამარცხების შემდეგ შეჩერდება?***

— ჯერჯერობით ამაზე კატეგორიული მსჯელობა რთულია, თუმცა ნათელია, რომ ბევრი რამ შეიცვლება. დღეს ნათელია, რომ მოვლენების ასეთი განვითარებისთვის რეალურად მზად არავინ იყო და გამარჯვებული პოლიტიკური ძალა მხოლოდ ახლა აყალიბებს რაღაც გეგმებს. თუმცა ზოგადად, მე წინა ხელისუფლებას ლიბერტარიანულს არ ვუწოდებდი იმის მიუხედავად, რომ პირველად საქართველოში ამ მიმართულებით ბევრი რეფორმა გატარდა. რეფორმები ძირითადად, 2004-2007 წლებში გაკეთდა, შემდეგ კი ეს ყველაფერი შეფერხდა და კურსი ცოტა შეიცვალა — სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ ცხოვრებასა და განათლებაში მეტი ჩართულობით. ახლა კი ეს დრეიფი უფრო მეტად საგრძნობი გახდება. არ ვფიქრობ, რომ ეს კარგია, თუმცა მივცეთ ახალ გუნდს დრო რაღაცას რეალურად მიაღწიოს. არ ვფიქრობ, რომ სოციალიზმისკენ ფუნდამენტური შემობრუნება შესაძლებელია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იდეოლოგიურად ამ ადამიანებს სხვა ხედვა აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ ეს უბრალოდ არარეალურია. იმისთვის, რომ გაანაწილო, ჯერ უნდა გამდიდრდე, საქართველოს მოსახლეობის 90%-ს კი სამწუხაროდ, ათას ლარამდე შემოსავალიც არ აქვს. თუ მათთვის, ვისაც ეკონომიკა წინ მიჰყავს, გადასახადებს გაზრდი, ეს საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას დაარტყავს. არ ვფიქრობ, რომ ახალი ხელისუფლება მზადაა, აქ ფუნდამენტურად რამე შეცვალოს. თუმცა იქნება რაღაც კორექტივები და ეს ნათელია იმ რიტორიკიდან, რომელიც წარმოებს. საუბრობდნენ შრომის კოდექსის რაღაც ცვლილებებზე, ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენაზე, რომელიც რეალურად წინა ხელისუფლების მიერ უკვე დიდი ხანია, აღდგენილია. ივანიშვილი შეხვდა ბიზნესმენებს და უთხრა: „არ გემუქრებით, მაგრამ თქვენ ფასები უნდა დაწიოთ“. მან პირობა დადო, რომ გაზსა და ელექტროენერგიაზე ფასები დაიწევს.

***— ნუთუ შეიძლება, ბიზნესზე ასეთ ზეწოლას პოზიტიური ეფექტი ჰქონდეს?***

— ვნახოთ, რასთან გვაქვს საქმე: ეს ცალკეული პოპულისტური გამონათქვამია თუ ჩვენ ერთგვარი უგო ჩავესი გვეყოლება.

***— და თუ უგო ჩავესი, ეს საქართველოსთვის ცუდია?***

— არ ვფიქრობ, რომ დედამიწაზე არსებობს ქვეყანა, რომლისთვისაც უგო ჩავესი კარგია.

***— რატომ წააგო „ნაციონალურმა მოძრაობამ“?***

— ვთვლი, რომ წინა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და სწორედ ამან მიგვიყვანა იმ შედეგამდე, რომელიც მივიღეთ. წინა ხელისუფლების სოციალური ბაზა სოფლის მოსახლეობა და ქალაქის მოსახლეობის საშუალო კლასი იყო. თუ რევოლუციამდე პოლიტიკური პროცესი ყოფილი ნომენკლატურის ვიწრო კლასის მიერ იყო მონოპოლიზირებული, რევოლუციისა და ხელისუფლების შეცვლის შედეგად, მოსახლეობის პოლიტიკური მონაწილეობა დიდად გაიზარდა და ეს საგრძნობია არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური კუთხითაც. თუ რევოლუციამდე გადასახადების სახით სადღაც 12-13% გროვდებოდა, ახლა ამ ციფრმა 30%-ს მიაღწია. ანუ საგადასახადო ტვირთი გაორმაგდა. თუ ამას საგადასახადო ადმინისტრაციის მეთოდებსაც დავამატებთ, ამ ყველაფერმა ხელისუფლებისგან ქალაქის მოსახლეობის საშუალო კლასის გაუცხოვება გამოიწვია. არა მხოლოდ ეს რა თქმა უნდა, თუმცა ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენთან მოდერნიზაცია გაგებული იქნა ისე, რომ მის ძრავად სახელმწიფო იქცა. ანუ, თავდაპირველად, პირველ ეტაპზე, აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ ბაზარზე და ეს კარგი იყო. თუმცა შემდეგ ჩათვალეს, რომ თუ პოლიტიკურ ლიდერებს სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურების ასე ეფექტურად რეფორმირება გამოუვიდათ, მაშინ შესაძლოა, მათ ეფექტური სახელმწიფო კორპორაციების შექმნაც გამოუვათ, რომლებიც საკუთარ მხრებზე იმ პრობლემებს აიღებენ, სადაც ბაზარი არ მუშაობს. პლიუსია ყველანაირი გრანდიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ძალიან აქტიურად ხორციელდებოდა. ანუ, ის გაზრდილი საგადასახადო ტვირთი, რომელზეც მე ვსაუბროდი, ამ მიმართულების დაფინანსებაზე წავიდა. მე ვთვლი, რომ თავისუფალი ბაზრის თავდაპირველი კურსი რომ შენარჩუნებულიყო და არა რაღაც „დირიჟიზმი“, საშუალო კლასის ასეთი გაუცხოვება არ მოხდებოდა. სხვათა შორის, ფაქტორი არა მხოლოდ ეს იყო, საჭიროა სხვა ფაქტორებიც დავასახელოთ: პირველ ეტაპზე პოლიტიკა უფრო იდეალისტური იყო. ადამიანები შთაგონებული იყვნენ თავისუფლების ზოგიერთი ღირებულებებით, ღირსებით, სამართლიანობით და მათ მხარი დაუჭირეს „ვარდების რევოლუციას“ და იმ ხელისუფლებას, რომელიც რეფორმებს ატარებდა. მეორე ეტაპზე კი, როდესაც რეფორმები შეჩერდა, პოსტ-იდეოლოგიური ფაზა დაიწყო, უფრო პრაგმატული. მუნიციპალურ არჩევნებზე მაშინ გაჩნდა ფრაზა: „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“.

***— ანუ ხელისუფლებამ ხალხთან საუბარი შეწყვიტა?***

— ხელისუფლებამ ხალხთან საუბარი შეწყვიტა და ფასეულობების რღვევა დაიწყო. ქალაქის საშუალო კლასის ფასეულობები, რომლისთვისაც თავისუფლება, ღირსება, სამართლიანობა ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფოსთვის არც ისე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ შეუძლია, ფასეულობებიც მართოს.

***— სწორად გავიგე თუ არა: საქართველოს საშუალო კლასს არ სურს, რომ მისი გადასახადები ქალაქ ლაზიკას მშენებლობაში წავიდეს, რომლის პროექტიც უტოპიურად ითვლება?***

— მათ შორის. ქალაქი ლაზიკა ჯერჯერობით არ შენდება და მე ამას უტოპიურად არ ვთვლი — მისი აშენება სახელმწიფო ინვესტიციების გარეშეც შეიძლებოდა, უბრალოდ შექმნილიყო რაღაც განსაკუთრებული იურისდიქცია, სადაც არა ქართული კანონმდებლობა, არამედ, ვთქვათ, ბრიტანული იქნებოდა გამოყენებული. თუ არჩევნების გადახედავთ, ნათელია — იმ ადგილებში, სადაც დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდებოდა, წინა ხელისუფლებამ ამომრჩეველთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა დაკარგა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველა დიდი ქალაქი წააგო.

***— აი, ამან მე ძალიან გამაოცა.***

— მე კი არა. თუ ისტორიას გადავხედავთ — ყოველთვის ასე ხდებოდა. იმ ადგილებში, სადაც მასშტაბური მშენებლობა მიდის, სადაც დიდი პერსპექტივებია, იქ უფრო დიდი პროტესტია. ამის ლოგიკურად ახსნა შეიძლება: თუ ადამიანი ხედავს, რომ რაღაც შენდება და ვითარდება და ეს მასზე პირდაპირი თვალსაზრისით არ აისახება — მოლოდინის ინფლაცია, შემდეგ კი იმედგაცრუება ხდება. იმ ადგილებში კი, სადაც არაფერი შენდება, ადამიანები მიეჩვიენ, რომ ცხოვრება რთულია და საჭიროა როგორღაც თავად გაიტანონ თავი. იქ მოლოდინების ინფლაციაც დაბალია და არც იმედგაცრუება ხდება.

***— ადამიანი ხედავს, რომ საოცარი სასტუმრო, შადრევანი და ბაღი შენდება და ამბობს: „მერე მე რა ამისგან?“***

— დიახ, ის არ მუშაობს მშენებლობაზე, მომსახურე პერსონალად და არ შეუძლია, თავისთვის ნომერი შეუკვეთოს — მისთვის საინვესტიციო მიმზიდველობა ცარიელი სიტყვებია.

***— მაგრამ ხელისუფლება ხომ პირდება მათ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, ეს საინვესტიციო მიმზიდველობა მას გამდიდრებაში დაეხმარება.***

— დიახ, ახლა ააშენეს, 15 წლის შემდეგ კი ადამიანების ცხოვრებაში რაღაც შეიცვლება. თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში მათთვის საგრძნობად არაფერი იცვლება.

***— თუ ადამიანს აუხსნი, რომ 10 წლის შემდეგ მისი შვილები ნორმალურ ქვეყანაში იცხოვრებენ, ნუთუ ამის გაგებას ვერ შეძლებს და ლოდინზე თანახმა არ იქნება?***

— არსებობს ნაკლებინფორმირებული ამომრჩევლის თეორია და რაციონალური არჩევნის თეორია. ადამიანები აკეთებენ იმას, რაშიც ისინი პირდაპირი თვალსაზრისით არიან დაინტერესებული. ადამიანებს არ აინტერესებთ მონიტორინგი, ინფორმაციის შეგროვება, პროგნოზები და მათ ეს არაფერს მისცემს. ადამიანები უფრო მეტად საკუთარ თვალებს ენდობიან, ვიდრე ინფორმაციას. თუ ისინი ვერ ხედავენ, რომ პირადად მათთვის რამე იცვლება, რამდენიც არ უნდა აუხსნა, ეს ვერ დაგეხმარება. გარდა ამისა, ამ ახსნას კიდევ უფრო მეტ გაუცხოვებამდე მივყავართ — ისინი ფიქრობენ, რომ შენ მათი საჭიროებებიდან შორს ხარ და შენი არ სჯერათ. თუმცა ვიმეორებ, რომ პრობლემა არა იმდენად ახსნის არარსებობაში იყო, რამდენადაც თავად პოლიტიკაში. ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს მკვეთრი გაძლიერება შეცდომა იყო და ამან საპირისპირო რეაქცია გამოიწვია.

***— აქვს თუ არა „ნაციონალურ მოძრაობას“ შანსი ძველ პოზიციას დაუბრუნდეს?***

— ვფიქრობ, ამას დიდი დრო დასჭირდება. ეს არჩევნები საპროტესტო იყო. ადამიანები არა ვინმეს მხარდასაჭერად, არამედ წინააღმდეგ აძლევდნენ ხმას. ეს იყო რეფერენდუმი და არა ერთი პოლიტიკოსის ნაცვლად მეორეს გაცნობიერებული არჩევანი. ყოფილი მმართველი პარტიისადმი ნდობის ეროზიამ შექმნა საფუძველი იმისთვის, რომ იმ სკანდალურმა ვიდეომ ციხეებიდან ასეთი გადამწყვეტი როლი ითამაშა და ბოლო წვეთი გახდა. სინამდვილეში, პრობლემა უფრო ღრმა იყო, ვიდრე ეს ვიდეოზე იყო ნაჩვენები. რა თქმა უნდა, ის, რაც ციხეებში ხდებოდა, საშინელება იყო და ადამიანებს ამასთან დაკავშირებით სამართლიანი აღშფოთება ჰქონდათ, თუმცა ამ აღშფოთებას ასეთი მასშტაბის ეფექტი არ ექნებოდა, რომ არა ნდობის ეროზია. ამ ნდობის აღდგენის გარეშე კი „ნაცმოძრაობის“ დაკარგულ პოზიციაზე დაბრუნების პროგნოზირება რთულია.

***— გარკვეული რეფორმების გაგრძელება ამჟამად აუცილებელია თუ გუნდის შეცვლის შემდეგ ეს აზრსმოკლებულია?***

— სამწუხაროდ, უნდა გიპასუხოთ, რომ მე არ მქონდა იმის მოლოდინი, რომ თუ „ნაცმოძრაობა“ არჩევნებში გაიმარჯვებდა, ის ახალ რეფორმისტულ ტალღას ააგორებდა. არა, ეს სტაგნაცია გაგრძელდებოდა.

***— იმის თქმა გსურთ, რომ „ნაცმოძრაობას“ არჩევნებში რომც გაემარჯვა, ხელისუფლების მიერ არჩევნების წინ გაცხადებული პოპულისტური მემარცხენე კურსი ქვეყნის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობდა?***

— თუ ევროპული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას შევადარებთ, მაშინ, ალბათ, ჩვენი ხელისუფლების ეს პროგრამა ჯერ კიდევ მემარჯვენე ფლანგზე იყო, თუმცა მე ვფიქრობ, რომ განვითარებისთვის საკმარისი არ იქნებოდა.

***— ზოგადად, თვლით თუ არა შესაძლებლად პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი მკვეთრი რეფორმების ჩატარებას, მაგალითად, შტატების შემცირებასთან დაკავშირებულს?***

— ვფიქრობ, რომ ეს ერთადერთი შესაძლო კურსი იყო, რომელიც ასეთ პოლიტიკურ მარცხებამდე არ მიგვიყვანდა. ჟურნალ ეკონომისტ-ში ცოტა ხნის წინ წავიკითხე სტატია ეკონომიკური კრიზისისადმი სხვადასხვა მიდგომების შესახებ. მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ სხვადასხვა მთავრობების გამოცდილებებს ადარებდნენ — მათ, ვინც კრიზისს გადასახადების ზრდითა და შემოსავლების დაწევით ებრძოდნენ და ისინი, ვინც გადასახადებს და ასევე სახელმწიფო ხარჯებს ამცირებდნენ. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც უბრალოდ შემოსავლებს და გადასახადებს ამცირებდნენ, ხელახლა არჩევის უფრო დიდი ალბათობა ჰქონდათ. ასევე აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი პროტესტი, რომელიც სახელმწიფო ხარჯების შემცირებით იყო გამოწვეული, არა უბრალოდ მოსახლეობისგან, არამედ ინტერესების სპეციალური ჯგუფიდან მოდიოდა, რომელთაც ამისგან გარკვეული პრივილეგიები აქვთ. ვფიქრობ, რომ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეამცირებ, ამ პროექტებზე დაკავებული სამშენებლო კომპანიები ზეწოლისთვის გაცილებით ორგანიზებული ჯგუფია, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც უბრალოდ ამ მშენებლობაზე მუშაობენ.

***— რომელი რეფორმების აუცილებლობაა ამჟამად საქართველოში?***

— ჩემი აზრით, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩართულობის დონე უნდა შემცირდეს, საგადასახადო ტვირთი უნდა შემცირდეს, ლიბერალიზირებული უნდა იქნეს ის მიმართულები, რომლებიც ბოლომდე ლიბერალიზირებული არ იყო და რომელშიც ძალიან ბევრი რეგულაცია დარჩა.

***— და რომელ რეფორმას მიიჩნევთ საქართველოში ყველაზე მთავარ რეფორმად?***

— სამუელ ჰანტინგტონი დემოკრატიას ასე განსაზღვრავდა — ეს ის სისტემაა, სადაც ხელისუფლება არჩევნების გზით იცვლება სულ ცოტა ორჯერ ზედიზედ. აი, თუ შემდეგ არჩევნებზე, ვთქვათ, 8 წლის შემდეგ, იქნება იმის შესაძლებლობა, რომ სხვა პარტიამ გაიმარჯვოს მასზე, რომელიც ახლა პარლამენტში შევიდა, მაშინ ჩავთვლი, რომ ყველაზე მთავარი მიღწევა ეს არის — როდესაც ხელისუფლება არჩევნების გზით იცვლება.

***— შეიძლება თუ არა ახლა ყველა ჩატარებულ რეფორმას ხაზი გადაუსვა?***

— ვთვლი, რომ ჩატარებული რეფორმების ერთი ხელისმოსმით დემონტაჟი რთული იქნება.

***— და თუ კრიმინალური სიტუაცია გაუარესდება? წინა ხელისუფლება ხომ ამტკიცებდა, რომ „ქართული ოცნება“ საქართველოში კრიმინალებს და „კანონიერ ქურდებს“ დააბრუნებდა. ეს რეალური საფრთხეა?***

— ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რაში სჭირდება ახალ ხელისუფლებას „კანონიერი ქურდების“ დაბრუნება. დიახ, მათ აქვთ შესაძლებლობა, ციხიდან ვილაცეები გაათავისუფლონ და მათ შეუძლიათ, გარკვეულ საქმეებს გადახედონ, თუმცა არ ვფიქრობ, რომ ისინი ყველა ციხის კარს გააღებენ და ყველას გარეთ გამოუშვებენ — ეს მათ ბუმერანგივით დაუბრუნდებათ. თუ ადამიანებში უსაფრთხოების შეგრძნება გაქრება, ეს „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტიკური რევანშის აღებაში დაეხმარება და ალბათ, ასეთი სცენარი ახალი ხელისუფლების ინტერესში არ შედის.

***— საქართველოში ერთი წლის შემდეგ ახალი კონსტიტუცია შედის ძალაში და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ის არ მოგწონთ — თქვენ კონსტიტუციის თქვენეული ვარიანტი გქონდათ.***

— მე ვიყავი ფედერალიზმის ამერიკული მოდელისა და ხელისუფლების მკაფიო განაწილების მომხრე.

***— ახალი კონსტიტუცია ხელისუფლების განაწილებას არ უზრუნველყოფს? პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი...***

— არა, პარლამენტი და მთავრობა ეს ხელისუფლების ერთი ცენტრია. საპარლამენტო უმრავლესობა ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები არიან. ამერიკულ სისტემაში ეს შეიძლება, იყოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალა. დემოკრატები და რესპუბლიკელები იქ ერთმანეთს აბალანსებენ. ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს ძალიან შემცირებული უფლებამოსილება აქვს და რეალურად მას პოლიტიკურ პროცესზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

***— ანუ, ერთი წლის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატიც რომ გახდეს პრეზიდენტი, ეს არაფერს შეცვლის?***

— მაშინ „ნაციონალურ მოძრაობას“ ექნება პოლიტიკური ტრიბუნა და არა მმართველობის ბერკეტი. საერთოდ, საქართველოს ისტორიაში პირველად ხდება ასე — პარლამენტში ოპოზიციის ძლიერი წარმომადგენლობა. არასოდეს ჩვენს ისტორიაში მენშევიკური მთავრობიდან დაწყებული, ასეთი პარლამენტი არ ყოფილა, სადაც ორპარტიული სისტემა იარსებებს. თუმცა პარლამენტი ასევე ტრიბუნაა. აღმასრულებელი ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის ხელში იქნება.

***— ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს ბოლო სიტყვა არ ეკუთვნის? მას არ შეუძლია, უკიდურეს შემთხვევაში, დროებითი მთავრობა დანიშნოს?***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## გორში, ხაშურსა და სიღნაღში განმეორებითი არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდა

გორში, ხაშურსა და სიღნაღში 11 საარჩევნო უბანზე განმეორებითი კენჭისყრა გუშინ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს.

უბნები დილის 8:00 საათზე გაიხსნა.

ხაშურის 43 საარჩევნო უბნიდან განმეორებითი კენჭისყრა 9 სადავო უბანზე ჩატარდა.

აღნიშნულ საარჩევნო ოლქში არჩევნებიდან კანდიდატურა მოხსნა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა სერგო ქიტიაშვილმა და მიზეზად „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან ზეწოლა დაასახელა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატურის მოხსნასთან დაკავშირებით ყველა ვადა გასული იყო, მისი გვარი ბიულეტენში მაინც დაფიქსირებულია.

გორში არჩევნები მე-4 უბანზე, ხოლო სიღნაღში სოფელ ვაქირის მე-5 უბანზე ტარდება.

# საერთაშორისო ფესტივალი ელისო ვირსალაძის იუბილეს ეძღვნება

ეკა ირემაშვილი

მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში მსოფლიოში ცნობილი პიანისტის ელისო ვირსალაძის საკონცერტო მოღვაწეობის 50 წლისთავს მიეძღვნება. ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ჩაგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც კლასიკური მუსიკის განვითარების და პოპულარიზაციის ცენტრის დირექტორი თამარ ლორთქიფანიძე და კომპანია „კავკასუს ონლაინის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი რუსუდან კაპანაძე უძღვებოდნენ.

როგორც პრესკონფერენციაზე ფესტივალის დირექტორმა თამარ ლორთქიფანიძემ განაცხადა 18, 20 და 21 ოქტომბერს მსმენელის წინაშე თავად ელისო ვირსალაძე და საზღვარგარეთიდან ჩამოსული მუსიკოსები წარდგებიან.

– წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში სულ 6 კონცერტი გაიმართება, აქედან სამი – საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრის თანხლებით. ორკესტრი დაკომპლექტდა საგანგებოდ ფესტივალისთვის და მასში უკრავენ მაღალპროფესიონალი მუსიკოსები, – განუცხადა ჟურნალისტებს თამარ ლორთქიფანიძემ.

„კავკასუს ონლაინის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის რუსუდან კაპანაძის თქმით:

– ყველა ადამიანს, რომელიც ვერ შეძლებს ფესტივალზე დასწრებას, საშუალება ექნება, მიმდინარე პროცესებს ვებგვერდის საშუალებით ადევნოს თვალი.

ფესტივალის ფარგლებში 19 ოქტომბრისთვის დაგეგმილია წიგნის „ელისო ვირსალაძე" პრეზენტაცია, რომელიც კომპანია „მაგთიკომის" მხარდაჭერით გამოიცა. წიგნის შემდგენელი მანანა ახმეტელია.

ელისო ვირსალაძის საკონცერტო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტები ტრადიციულად თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართება.

მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და „კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის" ორგანიზებით გაიმართება. ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელია ელისო ვირსალაძე.

– 18, 20 და 21 ოქტომბერს მსმენელის წინაშე წარდგებიან თავად ელისო ვირსალაძე, ნატალია გუტმანი, კოლა (ლუკას ნიკოლაი) ბლაჰერი, ინგოლფ ტურბანი და ედუარდ ბრუნერი. წლევანდელი ფესტივალი კონცერტების გარდა ბევრ სიახლეს პირდება მსმენელს. ფესტივალის გენერალური სპონსორია კომპანია „კავკასუს ონლაინი", რომელიც ინტერნეტით ფესტივალის ონლაინ ჩვენებას უზრუნველყოფს სპეციალურ ვებ გვერდზე. ყველა ადამიანს, ვინც ვერ შეძლებს ფესტივალზე დასწრებას, შეეძლება თვალი ადევნოს მიმდინარე პროცესებს. 19 ოქტომბერს კი წიგნის „ელისო ვირსალაძე" პრეზენტაცია გაიმართება, რომელიც კომპანია „მაგთიკომის" მხარდაჭერით გამოიცა. მთლიანობაში საფესტივალო საღამოები მსმენელს სთავაზობს მრავალფეროვან პროგრამას, რომელშიც შესულია მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრები. საქართველოში პირველად შესრულდება რობერტ შუმანის სავიოლინო კონცერტი. – განაცხადა ფესტივალის მედია კომუნიკაციების მენეჯერმა ჯაბა სიხარულიძემ.

წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში გამართულ კონცერტებში ორკესტრს წარუძღვებიან დირიჟორები ანატოლი ლევინი და აღმოჩენა, 18 წლის



ტიმურ ზანგიევი (ჩრდილოეთ ოსეთი), რომელსაც ასაკის მიუხედავად, კარგად იცნობს ევროპელი მსმენელი. მისი დირიჟორობით ფესტივალი 27 სექტემბერს უკვე გაიხსნა. ფესტივალის გახსნაზე ქართველი მსმენელის წინაშე ორი ახალგაზრდა პიანისტი – ივილინ ბერეზოვსკი (დიდი ბრიტანეთი) და კიმ ტე იანგი (კორეა) წარდგნენ, რომელთაც საკმაოდ აქტიური საკონცერტო ცხოვრება აქვთ და საუკეთესო შეფასება მსმენელისა და უფროსი თაობის მუსიკოსებისაგან. ფესტივალის სექტემბრის კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს ლიზა ბათიაშვილმა და გამოჩენილმა პიანისტმა, ბორის ბერეზოვსკიმ. მათი კონცერტები 29 და 30 სექტემბერს გაიმართა.

წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობას იღებენ მუსიკოსები საქართველოდან, გერმანიიდან, ბულგარეთიდან, აზერბაიჯანიდან, შვეიცარიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სომხეთიდან, კორეიდან, პორტუგალიიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან.

– ამ ფესტივალს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს. ელისო ვირსალაძის მიერ 80-ან წლებში დაარსებულ ფესტივალს (სახელწოდებით „ქება ვაზისა") ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ანალოგი არ მოეძებნებოდა, არც ფორმატით (კონცერტების სერია და მასტერკლასები), არც მონაწილეთა შემადგენლობით და არც ასეთი მასშტაბის ფესტივალის ჩატარებით ქვეყნის რეგიონში. შემდგომ, ქვეყანაში არსებული ვითარებისა და ობიექტური მიზეზების გამო, ფესტივალი აღარ ჩატარებულა. 2010 წლის ოქტომბერში, თითქმის ოცწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ელისო ვირსალაძის ინიციატივით, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში განახლებული სახითა და განახლებული სახელწოდებით აღდგა. სპეციალურად ფესტივალისთვის სახელმწიფომ შეიძინა საუკეთესო ორი საკონცერტო როიალი, – აღნიშნა ჯაბა სიხარულიძემ.

რაც შეეხება ფესტივალის პროგრამას, უკვე ცნობილია, რომ 18 ოქტომბერს ჩატარდება კამერული მუსიკის კონცერტი და მასში მონაწილეობას მიიღებენ ელისო ვირსალაძე, ნატალია გუტმანი, ინგოლფ ტურბანი, ედუარდ ბრუნერი, ნოდარ ჟვანია, გია ქობულაშვილი, მიხეილ ქართველიშვილი, იანგ-ჯი ბაეკი, ჯააკო ლუომა, ზორა სლოკარი. კონცერტზე შესრულდება მოცარტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებები. 20 ოქტომბერს გამართულ კამერული მუსიკის საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ელისო ვირსალაძე, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ნოდარ ჟვანია და მარია კაგანი, სადაც შესრულდება ბრამსის ნაწარმოები.

ფესტივალის დასკვნით კონცერტზე კი დაუკრავს საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი ანატოლი ლევინის დირიჟორობით. კლასიკური მუსიკის მოყვარულთა წინაშე დაუკრავენ ელისო ვირსალაძე, ლუკას ნიკოლაი ბლაჰერი ედუარდ ბრუნერი, გია ქობულაშვილი, ჯააკო ლუომა და ზორა სლოკარი. ფესტივალის დახურვაზე მოცარტის, შოპენისა და შუმანის ნაწარმოებები აჟღერდება.

# ზურაბ წერეთელმა ევროკავშირს ძეგლი დაუდგა

ეკა ირემაშვილი

რუსეთში მოღვაწე ქართველმა მხატვარმა და მოქანდაკემ ზურაბ წერეთელმა ევროკავშირის დამფუძნებლების ძეგლი შექმნა. სკულპტურის საზეიმო გახსნა საფრანგეთის ქალაქ სი-შაზელში 20 ოქტომბერს გაიმართება.

როგორც ქართველი მოქანდაკე რუსული გამოცემა „ვესტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს:

– ამ მემორიალზე დაახლოებით სამი წელი ვმუშაობდი, ვცდილობდი ევროკავშირის 20 წლის იუბილესთვის მომესწრო, რომელსაც 2013 წელს აღნიშნავენ. რა თქმა უნდა, წინასწარ ვერ განვსაზღვრავდი, რომ ევროკავშირი ნობელის პრემიას მიიღებდა. ასე რომ, ეს უბრალოდ უნიკალური დამთხვევაა, – ამბობს ზურაბ წერეთელი.

ზურაბ წერეთლის მიერ დამზადებული მონუმენტი გრანიტის ბაზაზეა, მასზე 2,5 მეტრიანი ბრინჯაოს ოთხი მამაკაცის ფიგურა გაყინულა – ფრანგები რობერტ შუმანი და ჟან მონე, გერმანელი კონრად ადენაუელი და იტალიელი ალჩიდე დე გასპერი. ისინი ევროკავშირის მთავარი დამფუძნებლები არიან. მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ორიოდე დღის წინ ოსლოში დაასახელეს. პრეტენდენტების სიაში 231 კანდიდატი იყო, მათგან 43 საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები იყვნენ. ევროკავშირი იურიდიულად მაასტრიხ-



ტის ხელშეკრულებით გამყარდა, რომელიც ძალაში 1993 წლის 1 ნოემბერს შევიდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთში მოღვაწე ქართველი მოქანდაკის ნამუშევარი საზღვარგარეთ საზეიმოდ გაიხსნება. საფრანგეთისთვის ზურაბ წერეთელმა მარინა ცვეტაევას სკულპტურა უკვე შექმნა, მასთან ერთად მოქანდაკემ მეორე – ბორის პასტერნაკის ძეგლის დაამზადა. მოქანდაკემ ორივე პოეტი სკამზე დასვა, პასტერნაკი ცვეტაევას მხარეს იყურება. ზურაბ წერეთელის განცხადებით, ამ ძეგლის შექმნა მას პოეტების მიმოწერამ შთააგონა. ზურაბ წერეთელის მიერ შექმნილი ძეგლის საკურორტო ქალაქ სენ-ჟილ-კრუა-დევიში დამონტაჟება დაიგეგმა, სადაც ცვეტაევამ 1926 წლის ზაფხული გაატარა. მონუმენტი მოქანდაკეს საფრანგეთის მხარემ შეუკვეთა, რომელმაც ზურაბ წერეთელს სენ-ჟილ-კრუა-დევიში რუსული კულტურის პარკის გაშენება შესთავაზა. უკვე ცნობილია, რომ პარკში ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ალექსანდრ სოლჟენიცინის, კომპოზიტორ დიმიტრი შოსტაკოვიჩის, ვიოლონჩელისტ როსტროპოვიჩის, მუსიკოს ვლადიმირ ვისოცკის ძეგლებს დადგამენ.

აქტიური მუშაობის პარალელურად, ცნობილი გახდა, რომ ზურაბ წერეთელი რუსული ხელოვნების აკადემიის პოსტზე ხელახლა აირჩიეს. ქართველი მოქანდაკე ამ თანამდებობაზე 1997 წლიდან მუშაობს, ხელახალი არჩევნებით კი ის ამ პოსტზე 2017 წლამდე დარჩება.

# საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ცენტრმა მუშაობა განაახლა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა მუშაობა განაახლა. ცენტრის დარბაზში წმიდა სამების საკათედრო ტაძარში ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღამოს დეკანოზი პეტრე კვარაცხელია უძღვებოდა. მასზე დასწრება კი ყველას თავისუფლად შეეძლო.

საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ცენტრმა უკვე უმასპინძლა მხატვარ ვახუშტი რომელაშვილის მშობლების გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იყო ფერწერაში შესრულებული პორტრეტები და პეიზაჟები. მორიგი ღონისძიება კი პოეტ ლაშა გახარიას 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოს დაეთმო. მასში მონაწილეობა პოეტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მიიღეს.

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში ღონისძიებები 17 ოქტომბერს განახლდება, სადაც პოეტ ნინო ქუთათელაძის ახალი კრებულის „ლექსები, პოემები"„წარდგინება მოეწყობა. როგორც სამების ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ განაცხადა, წიგნში შესულია პოეტის როგორც კარგად ცნობილი, ისე უცნობი ლექსები და პოემები. ეს კრებული ავტორისთვის რიგით მეათეა. წიგნის რედაქტორი ლილი გერაშვილია, მხატვარი – ნინო ქუთათელაძე, გამომცემელი – იულონ ტოლიაშვილი. პოეზიის საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები და საზოგადო მოღვაწეები. ეს ღონისძიება საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართება.

19 ოქტომბერს კი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში შედგება თიანეთისა და ფშავხევსურეთის მიტროპოლიტ თადეოზის (იორამაშვილი) 65 წლის იუბილისადმი მიძღვნილი წიგნის „იცნოს სოფელმან" წარდგინება.

– ამ წიგნში შესულია ცნობილ ადამიანთა წერილები, მილოცვები და მეუფე თადეოზისადმი მიძღვნილი ლექსები, ასევე მეუფის ინტერვიუები, ლექსები და წერილები. წიგნში არის ფოტომასალა მიტროპოლიტის პირადი არქივებიდან. საღამოზე სიტყვით გამოვლენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ღონისძიებაზე შესრულდება მეუფის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. ღონისძიების მიმდინარეობისას შესაძლებელი იქნება წიგნების შეზღუდული რაოდენობით შეძენა. გაყიდვაში იქნება მხოლოდ 35 წიგნი, რომლიდანაც შემოსული თანხაც მოხმარდება ეპარქიის მშენებლობის ფონდს, – განაცხადა ნათია გოგუაძემ.

# კულტურის სამინისტროს თანამშრომლებმა გურამ ოდიშარიას მიმართვა გაუგზავნეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა მინისტრობის კანდიდატს გურამ ოდიშარიას საგანგებო მიმართვა გაუგზავნეს, რომელშიც ნათქვამია:

– „მოგმართავთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამშრომლები! 2012 წლის 12 ოქტომბერს, სამინისტროში უნდა შემდგარიყო პირველი სამუშაო შეხვედრა სამინისტროს დეპარტამენტების დირექტორებსა და თქვენს წარმომადგენლებს შორის. შეხვედრის მიზანი, ჩვენი აზრით, იყო სამინისტროს საქმიანობის, უკვე განხორციელებული, ასევე მიმდინარე პროექტების გაცნობა, რომელიც არაკონსტრუქციულობის გამო ჩაიშალა. თუ გაქვთ სურვილი, რომ უახლოეს მომავალში ჯანსაღ გარემოში წარიმართოს საქმიანობის გადაბარების პროცესი, გთხოვთ, სამუშაო ჯგუფი დააკომპლექტოთ მეტად კომპეტენტური, კორექტული და პროფესიონალი პირებით. პატივისცემით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამშრომლები".


● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში". მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

# უსიამოვნო ტრადიცია ისევ ვერ დავარღვიეთ



**ფინეთი _ საქართველო 1:1**

**ჰელსინკი. ოლიმპიური სტადიონი**

***0:1 კაშია (56), 1:1 ჰამალაინენი (62)***

**ფინეთი:** მაენპია, მოისანდერი, ურონენი, რაიტალა, ოიალა, რ.ერემენკო, სპარვი, რინგი, ა.ერემენკო, ჰამალაინენი, პუკი (ჰეტემაი 62)

**საქართველო:** რევიშვილი, კობახიძე, გრიგალავა, კაშია, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი, თარგამაძე (ყენია 81), ოქრიაშვილი (ანანიძე 67), მჭედლიძე (დევდარიანი 59)

**გაძევება:** ა.ერემენკო (59)

საქართველოს ნაკრები ახლოს იყო იმ ფაქტთან, რომ უსიამოვნო ტრადიცია დაერღვია – „ჯვაროსნებს" ექვს წელიწადზე მეტია, ოფიციალური გასვლითი მატჩი არ მოუგია. თუმცა, ეს შანსი ფინელებთან ვერ გამოიყენა, თუმცა, აშკარად ახლოს იყო მიზანთან. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თემურ ქეცბაიას გუნდმა ჰელსინკის „ოლიმპიურ" სტადიონზე 2 ქულა დაკარგა.

ერთია, თუ ბოლო წლებში საქართველოს ნაკრების შედეგებს გადავხედავთ, ფინელებთან სტუმრად ფრე ურიგო ნამდვილად არ უნდა იყოს, მაგრამ როდესაც ასე ახლოს არის 3 ქულა...

ქართველები იგებდნენ, ამ დროს მეტოქე უმცირესობაში დარჩა და ყველა 3 ქულისთვის გაემზადა, თუმცა ჩვენებმა ეს დიდი უპირატესობა უმალვე გაანიავეს...

საწყის წუთებზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ფინეთიდან რეპორტაჟი გაითიშა, თუმცა მალევე აღსდგა და საკმაოდ გახსნილი თამაში გაჩაღდა. მოედნის ცენტრში ბურთი თითქმის არ ჩერდებოდა, მაგრამ კონკრეტულ სახიფათო მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა.

ტერიტორიულ უპირატესობას თანდათან მასპინძლები დაეუფლნენ და ქეცბაიას გუნდს მეორე ნომრად მოუწია თამაში. ვერ გეტყვით, ეს მწვრთნელის ტაქტიკური სვლა იყო, თუ აუცილებლობამ მოითხოვა – ფაქტია, შეტევაში ნაკლებად ვაქტიურობდით, სამაგიეროდ, ძალიან კარგად ვიცავდით თავს.

თუ უკანახაზი კარგად გამოიყურებოდა, სამაგიეროდ წინა ხაზი სცოდავდა. დაახლოებით 35-ე წუთის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა – ჩვენებმა ბურთის კონტროლი ვერ დააწესეს, მაგრამ კონრტშეტევებზე ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდნენ და ერთ მომენტში გურამ კაშიას თავური ფინელთა მეკარემ მოიგერია.

მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა ორი სახიფათო შეტევა განახორციელეს – ჯერ კაშიამ განმუხტა ხიფათი, შემდეგ კი კასპერ ჰამალაინენმა მახვილი კუთხიდან ბურთი ძელს გაარტყა.

56-ე წუთზე კი ჩვენები დაწინაურდნენ – დავით თარგამაძის მიერ მოწოდებულ კუთხურს კაშიას თავური მოჰყვა, საქართველოს ნაკრების მცველს მცირე რიკოშეტიც დაეხმარა და ბურთი ფინელთა კარის ბადეში აღმოჩნდა.

მალევე ფინელები ერთი შეხედვით, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – ალექსეი ერიომენკომ ჩვენს საჯარიმოში ხელით ითამაშა და მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

ქეცბაიამ ერთდადერთი ფორვარდი, ლევან მჭედლიძე შეცვალა, თუმცა ამ სვლამ ვერ გაამართლა. ფინეთის ნაკრებმა წონასწორობა სულ მალე აღადგინა, რასაც მხოლოდ ჰამალაინენის ინდივიდუალური ოსტატობით მიაღწია – დაცვაში ზურაბ ხიზანიშვალმა კარგად ვერ ითამაშა და ვერც ნუკრი რევიშვილმა მოახერხა კარის გადარჩენა – 1:1.

დარჩენილმა დრომ ქართველთა უპირატესობით ჩაიარა, თუმცა ქეცბაიას ფეხბურთელებმა სიტუაცია სათავისოდ ველარ შეატრიალეს. ალექსანდრე კობახიძისა და ჯანო ანანიძის დარტყმები მაღალ დონეზე მოთამაშე მაენპაამ მოიგერია, ჯაბა კანკავას კი მიზანმა უმტყუნა. მოსაგები, ვერ მოვიგეთ...

## მატჩის შემდეგ

**თემურ ქეცბაია:**

– გულდასაწყვეტია, რომ სასურველი ანგარიში ვერ შევინარჩუნეთ, მაგრამ ჩემი ბიჭების მონდომებით კმაყოფილი ვარ. გამოცდილება გვაკლია, რადგან გუნდში ბევრი ახალგაზრდაა, მაგრამ სწორედ ასეთ თამაშებში გაიზრდებიან და მომავალში მსგავს შეცდომებს აღარ დაუშვებენ. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ გული ძალიან დამწყდა, თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტუმრად ვითამაშეთ და ჩვენი მეტოქე კი, სახლში ყოველთვის კარგად თამაშობს. ბელარუსში უფრო რთული მატჩი გველის. მთავარია, ფეხბურთელებმა კარგად დაისვენონ. ისინი კი, ვისაც დღეს არ უთამაშია, უკეთ მოემზადონ. იმედია, დარჩენილ სამ დღეში ამას შევძლებთ – გავალთ და მომდევნო თამაშს მოვიგებთ. თანაც, ბელარუსები ისევ უქულოდ არიან და თუ 16-ში წარმატებას მივაღწევთ, ჩვენს მიზანს ნაწილობრივ უკვე შევასრულებთ და ჯგუფში მესამე ადგილზე დავმკვიდრდებით.

**გურამ კაშია:**

– ამ თამაშის მოგება შეგვეძლო. სამწუხაროა, რომ ჩვენს კარში მიღებულმა ბურთმა ცოტა აგვრია. უფრო ყურადღებით უნდა ვყოფილიყავით. თუმცა, ვფიქრობ, ეს ფრე ცუდი შედეგი არ არის. ამ ეტაპზე, ჯგუფში მესამე ადგილზე ვართ. ახლა, მთავარია, მომდევნო მატჩისთვის კარგად მოვემზადოთ და ძალები აღვიდგინოთ. რაც მთავარია, ბელარუსში ცუდ ხასიათზე არ მოვდივართ.

საქართველოს ნაკრები ბელარუსში შაბათ დილას გაემგზავრება და საბაჟოზე 4-საათიანი ლოდინის შემდეგ მინსკამდე მიაღწია. გუნდმა უკვე მოასწრო ორი ვარჯიშის გამართვა.

### ბელარუსი-ესპანეთი 0:4

***0:1 ალბა (12), 0:2 პედრო (21), 0:3 პედრო (69), 0:4 პედრო (72)***

**ბელარუსი:** ვერემკო, დრაგუნი (ჩუხლეი 79), მარტინოვიჩი, შიტოვი, პლასკონნი, ვოლოდკო (კისლიაკი 46), ტიგორევი, ბორდაჩოვი, ფილიპენკო, ა.გლები, როდიონოვი (ბრესანი 65)

**ესპანეთი:** კასილასი, არბელოა, რამოსი (ალბიოლი 70), ბუსკეტსი, ალბა, ალონსო, ხავი (ვილია 76), სილვა (ინიესტა 56), კასორლა, პედრო, ფაბრეგასი

მინსკში ესპანელებმა იოლად მოიგეს და ჩვენი ჯგუფის სატურნირო ცხრილს სათავეშიც ჩაუდგნენ.

ევროპისა და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა ორი სწრაფი გოლით საქმე თავიდანვე მოილიეს. მატჩის გმირი ბარსელონელი პედროა, რომელმაც ჰეთ-თრიქით შეასრულა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| 2.საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| 3.საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 4.ფინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 5.ბელორუსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

### მომდევნო მატჩები:

**16 ოქტომბერი:** ბელარუსი-საქართველო; ესპანეთი-საფრანგეთი.

# ორი მედალი აბუ დაბიდან

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების 4 წევრმა აბუ დაბის გრან-პრიზე იასპარეზა და შინ 2 მედლით დაბრუნდნენ.

60 კილოგრამში მოჭიდავე ამირან პაპინაშვილი ვერცხლის მედალს დასჯერდა. ან წონაში 15 მონაწილე შეიკრიბა და ტურნირი პირდაპირ მერვედფინალით გაიხსნა. პაპინაშვილმა პირველი მეტოქე ლიბანელი ზიადე დამიენი 40 წამში დაამარცხა. იპონითვე გასცდა ამერიკელ ნიკოლას კოსორსაც. ნახევარფინალში კი მონღოლ ამარტუვშინ დაშდავაასთან მომგებიანი ვაზარი ოქროს დროში შეასრულა.

სამწუხაროდ ჩვენებური ფინალში ვერაფერს გახდა ბესლან მურდანოვთან და ნახევარ წუთში იპონით დამარცხდა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში იაკობ გაზდელიანი ჭიდაობდა, მაგრამ საწყის ეტაპზევე წმინდად დამარცხდა იაპონელ მასაში კოდერასთან.

ტატამზე გავიდა და საწყის ეტაპზევე დამარცხდა 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე შოთა ჯავახაძე , რომელიც საქმეში მერვედფინალიდან ჩაერთო და მესამე ნომრად განთესილ ბრაზილიელთან, მსოფლიოს რეიტინგის 33-ე ნომერ ვიქტორ პენალბერთან უშანსოდ წააგო.

90 კილოგრამში კი ქართული დროშის ქვეშ ზვიად გოგოჭურმა იჭიდავა და ორი იოლი გამარჯვების შემდეგ ნახევარფინალში რუს კირილ ვოპროსოვთან დამარცხდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

გრან-პრის ჩემპიონებს მსოფლიოს რეიტინგ-სიაში 200 ქულა დაერიცხებათ, მეორეადგილოსნები 120 ქულას გამოიმუშავებენ, ბრინჯაოსნები – 80-ს. საწყის ეტაპებზე დამარცხებულ ძიუდოისტთა მონაგარი კი შედარებით მოკრძალებული იქნება.

# დუდუ დადიანის მემორიალზე 2 ტური მიილია



საქართველოს 2012-13 წლების საკალათბურთო სეზონი დუდუ დადიანის რიგით მე-11 მემორიალით გაიხსნა და მას ვაკეში მდებარე კალათბურთის აკადემიის დარბაზი მასპინძლობს.

ტურნირში სუპერლიგის 7 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ორ ჯგუფად არიან განაწილებული და ფინალის საგზურს მხოლოდ გამარჯვებული იპოვებს.

პირველ ტურში ყველაზე დაძაბული ა ჯგუფის მატჩი, ბრინჯაოს მედლის მფლობელის და მემორიალის 2011 წლის გათამაშების გამარჯვებულის, „ქუთაისისა" და „რუსთავის" შეხვედრა გამოდგა.

მატჩის დასაწყისი ქუთათურებს კარგს არაფერს უქადდა, რადგან მე-3 წუთისთვის „რუსთავი" 8:0 დაწინაურდა და პირველი ტაიმი მაინც მიხეილ ბერუაშვილის შეგირდებმა მოიგეს – 37:32.

შეხვედრის ბედი მე-4 მეოთხედის ბოლო წუთებში გადაწყდა. გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და ქუთათურებმა 3 ქულის სხვაობით – 65:62 შეძლეს მეტოქის დამარცხება.

ქუთათურთა გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი ფორვარდმა, გიორგი ბარბაქაძემ შეიტანა, რომელმაც 17 ქულითა და 10 მოხსნით, ორმაგი დუბლი შეასრულა.

რუსთაველთა შორის ყველაზე შედეგიანის, ბოუის ანგარიშზე 15 ქულაა. მას ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა.

გულშემატკივართა გამორჩეულ ინტერესს „არმიას" სათამაშო ფორმა იწვევს. არმიელებს 6 ნოემბრიდან ევროჩელენჯის ჯგუფურ ტურირში მოუწევთ თამაში. „ძალოვნებს" მეტოქედ ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებული თსუ ჰყავდათ.

პირველ ტაიმში „არმია" მხოლოდ 6-ქულიან უპირატესობას (41:35) დასჯერდა, მე-2 ტაიმში კი, მისი უპირატესობა აშკარა იყო და მეტოქეს 98:49 მოუგო.

გამარჯვება არც ქვეყნის ვიცეჩემპიონ „ოლიმპს" გასჭირვებია, რომელმაც სტუ დიდი ანგარიშით – 88:54 დაამარცხა.

მეორე დღეს გამართული მატჩებიდან ყველაზე დაძაბული „არმია"-„ქუთაისიის" მატჩი გამოდგა. მართალია, ქუთათურები „ძალოვნებს" წინააღმდეგობას კი უწევდნენ, მაგრამ კოტე ტუღუშის შეგირდებმა მაინც შეძლეს ოთხივე მეოთხედის მოგება და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს – 85:72.

აღნიშნული შეხვედრის ბომბარდირი ქუთათურთა ცენტრალური თავდამსხმელი რიჩარდ მათიაშვილი გახდა, რომელმაც 29 ქულა მიითვალა, აქედან 15 საჯარიმო ხაზიდან და მემორიალის რეკორდი დაამყარა.

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში, თსუ-მ, მართალია, პირველი მეოთხედი 17:16 მოუგო „რუსთავს", მაგრამ შეხვედრის პირველი ტაიმი რუსთაველებმა 10 ქულიანი უპირატესობით დაასრულეს. ქვემოქართლელები მეორე ნახევარშიც დომინირებდნენ და საბოლოოდ 18 ქულით, 79:61 დაამარცხეს მეტოქე.

გამარჯვებულთაგან თავი ლეგიონერმა, ნეით ბოუიმ გამოიჩინა 18 ქულით, ჟულიეტ ტუჯანს კი ორმაგ დუბლამდე ერთადერთი მოხსნა დააკლდა – 11 ქულა, 9 მოხსნა. სტუდენტთა რიგებში საუკეთესო ვახტანგ ჩქარეული გახლდათ, რომელმაც საკუთარ აქტივში 20 ქულა ჩაიწერა.

ანგარიშში ყველაზე დიდი სხვაობა „შსს აკადემია"-სტუ-ს შეხვედრაში დაფიქსირდა. „ძალოვნებმა" 44 ქულის სხვაობით, 95:61 შეძლეს სტუდენტების დამარცხება.

ამ შეხვედრის ბომბარდირი „ძალოვნების"ახალწვეული, უკანახაზელი დეონტა ვონი გახდა, რომლის ანგარიშზე 25 ქულაა. სტუდენტების მხრიდან ყველაზე მეტი, 15 ქულა ფორვარდმა გიგა კვეტენაძემ დააგროვა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სანაკრებო პაუზა საკონტროლო მატჩებით შეივსო

ქუთაისის „ტორპედომ" ეროვნული ნაკრებების თამაშებით გამოწვეული პაუზისას თურქეთში საფეხბურთო კლუბ „ტრაბზონსპორთან" გამართა საკონტროლო მატჩი და 0:1 დამარცხდა.

რაც შეეხება მატჩს, მისი საწყისი წუთები მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმცა ტაიმის შუაში იყო 10-15-წუთიანი მონაკვეთი, როცა „ტორპედომ" ყოველგვარ სათამაშო კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე.

დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში გაიმართა მეორე ტაიმიც – მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ და გოლიც გაიტანეს – ეს 82-ე წუთზე მოხდა. მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებისა შემდეგ ბურთი ემრე გიურალს მიუვიდა, რომლის დარტყმის შემდეგაც ქვილითაიამ საკუთარი კარის გადარჩენა ველარ მოახერხა და თურქებიც დაწინაურდნენ – 1:0.

დარჩენილ დროში „ტორპედო" გააქტიურდა, 88-ე წუთზე საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე ყველას კვარაცხელიამ დაასწრო და თავით გადაგზავნა ბურთი კარისკენ თუმცა მეკარეს ვერ აჯობა. ასევე, უშედეგო იყო ფირცხალავას და იოსელიანის შორეული დარტყმები.

„ტორპედო" უკვე სამშობლოშია და ხვალიდან საჩხერის „ჩიხურასთან" 20 ოქტომბერს, ქუთაისში გასამართი მატჩისთვის მოემზადება, რომლებიც თავის მხრივ ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ზესტაფონს ეწვივნენ.

მატჩის დებიუტშივე ზესტაფონელებს დაწინაურების დიდებული შესაძლებლობა მიეცათ – შეტევის მარცხენა ფლანგზე მასპინძელთა გერმანელი ლეგიონერის პატრიკ მილხრაუმის კარგი თამაშისა და ზუსტი გადაცემის შემდეგ დასარტყმელ პოზიციაზე რატი წინამძღვრიშვილი აღმოჩნდა, თუმცა ბურთი ზუსტად გოგიტა სომხიშვილს გაარტყა. ამ ეპიზოდიდან ზუსტად ერთ წუთში ზურაბ მამალაძეს გაგა ჩხეტიანმა თავით გაუტანა.

გოლამდეც და გოლის შემდეგაც უპირატესობა ზესტაფონელთა მხარეს კი იყო, თუმცა კარგა ხანს მასპინძლები აშკარა საგოლე შანსების განიავებით იყვნენ დაკავებულნი. ბოლო-ბოლო, 29-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიში რატი წინამძღვრიშვილმა გააყაიმა, თუმცა, ზუსტად ერთ წუთში, მასპინძელთა დაცვის შეცდომის შემდეგ, გაგა ჩხეტიანმა თავის გუნდი ისევ წინ გაიყვანა.

მატჩის მეორე ტაიმში ძალიან ბევრი შეცვლა განხორციელდა, ორივე გუნდის სამწვრთნელო შტაბმა საქმეში უახლოესი რეზერვიც ჩართო. პირველისაგან განსხვავებით, მეორე ტაიმი უფრო თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და შედეგად, მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს – 72-ე წუთზე მიზანს თეიმურაზ შარაშენიძის დარტყმამ მიაღწია. ხოლო 82-ე წუთზე, საჩხერელთა გოლკიპერის გაძევებისა და მის კარში დანიშნული კიდევ ერთი 11-მეტრიანის შედეგად, თორნიკე აფციაურმა დღევანდელი დაპირისპირების საბოლოო შედეგის დამფიქსირებელი ბურთი გაიტანა. სტუმართა გამარჯვება ანგარიშით 3:2.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი**

**სამხრეთ ამერიკა**

| | |
|---|---|
| ბოლივია-პერუ | 1:1 |
| კოლუმბია-პარაგვაი | 2:0 |
| ეკვადორი-ჩილე | 3:1 |
| არგენტინა-ურუგვაი | 3:0 |

**კონკაკაფი**

| | |
|---|---|
| ანტიგუა-აშშ | 1:2 |
| კანადა-კუბა | 3:0 |
| გაიანა-მექსიკა | 0:5 |
| სალვადორი-კოსტა რიკა | 0:1 |
| გვატემალა-იამაიკა | 2:1 |
| პანამა-ჰონდურასი | 0:0 |

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| მალავი-განა | 0:1 |
| ბოსტვანა-მალი | 1:4 |
| უგანდა-ზამბია | 1:0(8:9პ) |
| ნიგერია-ლიბერია | 6:1 |
| ტუნისი-სიერა ლიონე | 0:0 |
| მაროკო-მოზამბიკი | 4:0 |
| საერთაშორისო ტურნირი | (21) |
| ესტონეთი-ფინეთი | 1:1(0:3პ) |
| ლიტვა-ლატვია | 1:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალკორკონი-მირანდესი | 4:0 |
| ბარსელონა ბ-ხიხონი | 3:0 |
| გვადალახარა-პონფერადინა | 2:0 |
| ლუგო-მურსია | 2:1 |
| ხერესი-რასინგი | 1:1 |
| ვილიარეალი-უესკა | 1:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| იუვე სტაბია-ბარი | 2:1 |
| ნოვარა-ბრეშა | 4:2 |

**პორტუგალია. თასი**

| | |
|---|---|
| ჟილ ვისენტე-ნავალი | 1:2 |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სლიგო-სტ.პატრიკსი | 3:2 |
| დანდალკი-ბოჰემიანსი | 2:2 |
| შემროკი-დერი | 1:3 |
| დუბლინი-დროჰედა | 1:0 |
| შელბურნი-კორკი | 3:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(გ)-ინტერნასიონალი | 3:1 |
| ფლამენგო-კრუზეირო | 1:1 |
| პორტუგეზა-კორინთიანსი | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**აცპ. შანხაი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ბერდიხი | 6:3;6:4 |
| ფედერერი-მიურეი | 4:6;4:6 |

**ვტა. ოსაკა. ჰარდი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| უოტსონი-ჩანი | 7:5;5:7;7:6 |

# კინოს სახლში ფედერიკო ფელინის ფილმებს უჩვენებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აღიარებულ კინორეჟისორად მიიჩნევენ. ბავშვობაში კინორეჟისორი ცირკით იყო გატაცებული, ერთხელ მოხეტიალე ცირკთან ერთად გაიპარა კიდეც. მოგვიანებით ამან მის ფილმებში პოვა ასახვა, განსაკუთრებით კი ფილმში „ჯამბაზები". ფელინი მუშაობდა ჯერ ფლორენციაში, შემდეგ კი რომში ჟურნალისტად. კინოში მისი მისვლა რობერტო როსელინის დამსახურებაა. როსელინის მოეწონა იმხანად კარიკატურისტი ფელინის მიერ დახატული შარჟი და მას სცენარისტობა შესთავაზა. რობერტო როსელინი ფელინზე ამბობდა, „პატარა ბიჭი სოფლიდან, რომელიც მუდმივად ოცნებობდა დიდ ქალაქზე". მოგვიანებით ფელინიმ აღნიშნა, რომ რომ არა როსელინი, იგი, შესაძლოა, ცირკის დირექტორი გამხდარიყო და არა კინორეჟისორი. იტალიელი კინორეჟისორის დებიუტი შედგა ფილმში „რომი ღია ქალაქია". რობერტო როსელინისთან ფელინის ურთიერთობა გაგრძელდა რამდენიმე არაჩვეულებრივ ფილმში „აისა", „უროპა"....

ფელინის პირველი წარმატებული ფილმი იყო „გზა". ფილმი გახდა ოსკარის ლაურეატი საუკეთესო უცხოენოვანი ფილმისთვის და ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის „ვერცხლის ლომის" მფლობელი. ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა ჯულიეტა მაზინა – ფედერიკო ფელინის მეუღლე. სწორედ ჯულიეტა მაზინამ შეასრულა მთავარი როლი ფილმში „კაბირიას ღამეები", სადაც მეძავის ცხოვრებაა ასახული.

ფედერიკო ფელინის ფილმმა „ტკბილი ცხოვრება" კანის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ჯილდო დაიმსახურა. ფილმში მთავარ როლს მარჩელო მასტროიანი ასრულებდა. მასტროიანმა ამის შემდგომაც შეასრულა რამდენიმე მნიშვნელოვანი როლი ფელინის ფილმებში. ფილმში გაკრიტიკებული იყო ბურჟუაზია, ეკლესია, მაღალი საზოგადოება, მათი „ტკბილი", თუმცა უშინაარსო ცხოვრება. ფილმის ჩვენებამ კანის კინოფესტივალზე გაალიზიანა საზოგადოების ნაწილი. მათ ფელინის ბოლშევიკი უწოდეს. „ტკბილი ცხოვრება" ფელინის მერვე ფილმი იყო. მეცხრე ფილმის გადაღებისას კი შემოქმედებით კრიზისში აღმოჩნდა. თუმცა მან მოულოდნელი გამოსავალი იპოვა: გადაიღო ფილმი „რვანახევარი", სადაც აღწერა ცნობილი რეჟისორი, რომელიც შემოქმედებით კრიზისშია და ვერ ახერხებს დაწყებული ფილმის დასრულებას. რეჟისორის როლს მარჩელო მასტროიანი ასრულებდა.

ამის შემდეგ მან გადაიღო თავისი პირველი ფერადი ფილმი „ჯულიეტა და სულები". ავტობიოგრაფიული ელემენტებითაა გაჯერებული ფელინის ფილმები „ჯამბაზები", „რომი", „ამარკორდი" და „ინტერვიუ". ცნობილია, რომ რეჟისორის ფილმები „გზა", „თაღლითები" და „კაბირიას ღამეები" ტრილოგიაა და ბოლო ფილმის „კაბირიას ღამეების" გადაღების დაფინანსებაზე უარი 11 პროდიუსერმა თქვა. მეგობრები აფრთხილებდნენ რეჟისორს, რომ ეს საკმაოდ სარისკო ნაბიჯი იყო, რადგან მან ერთი ფილმი უსაქმურებზე, მეორე თაღლითებზე, ხოლო მესამეს მეძავებზე იღებდა, თუმცა კრიტიკის მძვინვარების მიუხედავად პროგნოზი არ გამართლდა – ამ ფილმმა ჯულიეტა მაზინას ჯერ კანის „პალმის ოქროს რტო", ხოლო შემდეგ „ოსკარი" მოუტანა.

იტალიელმა კინორეჟისორმა გავლენა მოახდინა ისეთ ცნობილ რეჟისორებზე, როგორებიც არიან ვუდი ალენი, დევიდ ლინჩი, დევიდ კრონენბერგი, სტენლი კუბრიკი, პედრო ალმოდოვარი, ტიმ ბარტონი, ემირ კუსტურიცა და სხვები. კინომოყვარულებს არა მარტო ფედერიკო ფელინის ფილმები მოსწონთ, არამედ მისი ყველაზე ცნობილი გამონათქვამებიც ზეპირად იციან: „ისაუბრო სიზმრებზე, ეს ნიშნავს, ისაუბრო ფილმებზე, რადგანაც ფილმები სიზმრების ენაზე მეტყველებენ; წუთში შეიძლება განვლო წლები და გადახტე ერთი ადგილიდან მეორეზე. ეს არის გამოსახულებების ენა. ნამდვილ ფილმში ყოველი საგანი და ყოველი სინათლე ნიშნავს რაიმეს, ისევე, როგორც სიზმარში". „ყოველგვარი ხელოვნება ავტობიოგრაფიულია. მაგალითად, ხამანწკას ავტობიოგრაფია მარგალიტია". „შენ არსებობ მხოლოდ მასში, რასაც ქმნი". „ყველამ იცის, რომ დრო – ეს სიკვდილია. სიკვდილი, რომელიც იმალება საათებში". „არ არსებობს დასაწყისი... არც დასასრული... არსებობს მხოლოდ უსასრულო ვნება სიცოცხლისა". „ტკივილი ცოდნაა და ყოველგვარი ცოდნა – ტკივილი". „გამოცდილება, ეს ისაა, რასაც იძენ ხოლმე სხვა რამის ძებნის დროს". „ნუ მეუბნებით, რას ვაკეთებ. არ მსურს, ვიცოდე ეს". „ნიცშე იჩემებდა, რომ მისი გენია იყო მისსავე ნესტოებში. ჩემი აზრით, საუცხოო ადგილია გენიისათვის". „სხვა ენა – განსხვავებული ხედვაა ცხოვრებისა". „კინო ჰგავს ძველ ბორდელს, ცირკს და ა.შ., ანუ მათ, ვინც იცის, რიგორ მოგანიჭოს მრავალგვარი სიამოვნება".

იტალიელი კინორეჟისორის ფილმოგრაფია ასე გამოიყურება: „გზა", „კაბირიას ღამეები", „ტკბილი ცხოვრება", „რვანახევარი", „ამარკორდი", „ორკესტრის რეპეტიცია", „ქალთა ქალაქი", „ჯინჯერი და ფრედი".

ფელინის შემოქმედება ყველაზე პრესტიჟული კინოფესტივალების მთავარი ჯილდოებით არაერთხელ აღინიშნა. ფილმებმა „გზა", „ტკბილი ცხოვრება", „რვანახევარი", „ამარკორდი" მიიღეს ოსკარი საუკეთესო უცხოენოვანი ფილმისთვის, ფილმმა „ტკბილი ცხოვრება" კი ოქროს პალმის რტო მოიპოვა. ფელინის ყველგან აკრიტიკებდნენ, მას ბოლშევიკს ეძახდნენ. „მე ალბათ ტომარაში ჩამტენიან და წყალში მისვრიან", – უთხრა მან ერთხელ რეპორტიორს.

8 ფილმის გადაღების შემდეგ ფელინი განიცდიდა შემოქმედებით კრიზისს. მეცხრე ფილმის გადაღება დაწყებული ჰქონდა, მაგრამ საქმე წინ არ მიდიოდა. მან გული აიყარა, ყველაფერი გაუმართლებლად, უაზროდ და შეუსაბამოდ მიიჩნია – სცენარიც და ტექნიკური მხარეც. გადაღებები გაჩერდა. მაშინ რეჟისორმა მიიღო ერთადერთი გადაწყვეტილება: უბრალოდ დაეფიქსირებინა მთელი ეს უაზრო სიტუაცია, ამიტომაც ფილმი არ დაასრულა და სიმბოლურად მას რვანახევარი უწოდა.

კინოს სახლში დაგეგმილი ფედერიკო ფელინის ნამუშევრების კვირეულზე დასასწრები ბილეთი სიმბოლურია – 1 ლარი.

# ლევან რამიშვილი: ვფიქრობ, ნაციონალურ მოძრაობას" ძველ პოზიციებზე დასაბრუნებლად ძალიან დიდი დრო დასჭირდება"

დასაწყისი მე-7 გვერდზე

– თუ საპარლამენტო კრიზისი იქნება და პარლამენტი მთავრობის დანიშნვას ვრე შეძლებს, მაშინ პრეზიდენტს შეუძლია, პარლამენტი დაითხოვოს და დროებითი მთავრობა დანიშნოს. ეს ახალი კონსტიტუციით. თუმცა ვთვლი, რომ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ხელისუფლების დაყოფაა ცენტრალურ დონეზე, ფედერალიზმია – რათა რეალურად იყოს დელეგირებული უფლებამოსილება და რესურსები, ამ უფლებამოსილების აღსრულებისთვის აუცილებელ რეგიონულ დონეზე. ახლა გუბერნატორებს პრეზიდენტი ნიშნავს, შემდეგ კი მთავრობა დანიშნავს. თუ რესურსებს გადავხედავთ, თავდაპირველად ყველა რესურსი ცენტრალურ ბიუჯეტში მიდის, შემდეგ კი უკვე რეგიონში. ახალი კონსტიტუციითაც ასე იქნება, იქ ძირითადად არაფერი იცვლება.

***– მაშინ რატომ მიიღეთ კონსტიტუციის ასეთი მოდელი?***

– ასეა პრაქტიკულად ევროპის ყველა ქვეყანაში – საპარლამენტო სისტემა. ეს იყო განაცხადი, რომ ჩვენ ევროპისკენ ვისწრაფვით.

***– საპრეზიდენტო ხელისუფლების შესუსტება ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია.***

– მე ვთვლი, რომ უფრო მნიშვნელოვანი დეცენტრალიზაცია და ხელისუფლების დანაწილებაა, ხოლო როგორ ერქმევა ტოპ-მენეჯერი, არც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხია.

***– უახლოეს პერიოდში გარკვეულ პოლიტიკურ კრიზისს ან დაპირისპირებას არ ელით?***

– სერიოზულ კრიზისს არ ველი. რეალურად მმართველობის ყველა ბერკეტი ახალ ხელისუფლებას გადაეცემა და მას მიეცემა შესაძლებლობა ყველა ის წინასაარჩევნო დაპირება შეასრულოს, რომელსაც ასე ძალიან გულუხვად არიგებდნენ.

***– რაც შეეხებათ ძალოვან მინისტრებს, რატომ არ შეინარჩუნა ისინი სააკაშვილმა?***

– ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტს აქვს უფლება ძალოვანი მინისტრი შეცვალოს, დანიშვნით კი პრემიერი ნიშნავს. პრეზიდენტი პრემიერს სთავაზობს, თუმცა შესთავაზებს მას, ვინც საპარლამენტო უმრავლესობიდან იქნება. ეს იქნება ივანიშვილი.

***– თუმცა იურიდიულად მას შეუძლია, ეს არ გააკეთოს.***

– იურიდიულად მას შეუძლია, ერთი წლის განმავლობაში საპარლამენტო უმრავლესობის შეთავაზება არ მიიღოს, მაგრამ თუ „ნაცმოძრაობის" მიზანი საკუთარი იმიჯის აღდგენაა, მაშინ ასეთი კადნიერი იგნორი ამომრჩევლის ძალიან მკაფიო სურვილზე, არასწორი იქნება.

***– მაშინ გამოდის, რომ პრეზიდენტი ყველა ძალოვან სტრუქტურას კარგავს და არ იცის რა, როგორია ახალი პრემიერისა და საპარლამენტო უმრავლესობის სურვილი და განწყობა, საფრთხის ქვეშ დგება.***

– ეს არჩევნების შედეგია. ხალხს ხელისუფლების შეცვლა სურდა და ეს მოხდა, ახლა მკითხაობა ძნელია. ყველაზე დიდი პრობლემა, ჩემი აზრით, ივანიშვილის 6,5 მილიარდია. არჩევნებამდე იყო ხელისუფლება და მას უპირისპირდებოდა მილიარდერი განუსაზღვრელი რესურსებით, ახლა ეს მილიარდები ხელისუფლებას შეერწყმება, როგორც ბერლუსკონის შემთხვევაში იტალიაში. ამასთან დაპირისპირება რთული იქნება, რადგან რესურსების – ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მობილიზება რთული იქნება.

**პირველი**

# სკანვორდი



1. ცხვრის ჯოგი; 2. ჩიტი (საბა); 3. მოყავისფრო კანფეტი; 4. შოტლანდიური ნაგაზი; 5. დასავლეთ სამოას დედაქალაქი; 6. ... გრუზინსკაია; 7. პატარა ტანის ცხენი; 8. ... ჩიმარო; 9. ტემპერატურის საზომი ერთეული; 10. სიგრძის საზომი ერთეული; 11. ლანგარი; 12. იაპონიის ფულის ერთეული; 13. ლითონის შესაკრავი ქამრისთვის; 14. სატელეფონო სიგნალი; 15. ჭრილობაზე დასადები სტერილური ბინტი; 16. უცხო ქვეყნის ფული; 17. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი; 18. უმცირესი ორნიშნა რიცხვი; 19. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი; 20. ვარსკვლავიერი მანძილების საზომი ერთეული; 21. ნიავი; 22. თონეში ჩავარდნილი პური; 23. სიტყვის ბოლოსართი, რომელიც აღწერას აღნიშნავს; 24. ლექსის ცალკეული ნაწილი; 25. თმის ვარცხნილობის სტილი; 26. სამხედრო სვლა მწყობრი ნაბიჯით; 27. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 28. მეკობრე (ძვ.) 29. ინდუიზმის ღვთაება; 30. ფრანგი კომიკოსი მსახიობი; 31. ინდოელი ქალის კაბა; 32. სანადირო ძაღლის ჯიში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მიზა; 2. იმედი; 3. სპოკი; 5. როკაპი; 6. ლოგოპედი; 9. კომპრომისი; 10. კოპიტნარი; 11. დეკემბერი; 14. უფა; 16. საფარა; 18. საგა.

**თარაზულად:** 1. მუჯირი; 7. ზარზუელა; 7. მერანო; 8. კუბდარი; 12. იმაგო; 13. სუბარი; 15. მიფუნე; 17. ძმა; 19. სტენოკარდია; 20. კილტი; 21. თამადა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. წუმწუმა; 2. ფტორი; 3. გალენიტი; 4. ჰელიოსი; 5. შარლატანი; 9. არიანი; 12. ცანგალი; 14. უზნაძე; 15. სუმო; 17. მიჯნა; 18. ვირი.

**თარაზულად:** 6. მულატი; 7. მალპენსა 8. აწყური; 10. ფობია; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. ხახამი; 19. ისპახანი; 20. ნეგროიდი.

სპორტი

# გეორგი კონდრატიევი საქართველოსთან მოგებას გეგმავს

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საკუთარ მოედანზე ესპანელებთან 0:4 წაგებული მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, ბელარუსის ნაკრების თავკაცმა გეორგი კონდრატიევმა საქართველოს ეროვნულ გუნდთან მომავალ მატჩზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 16 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებთან უცილობლად გამარჯვებას შეეცდება.



***– დიდი ანგარიშით მარცხი საქართველოსთან მატჩისთვის ნორმალურად მზადებაში ხელს არ შეგიშლით?***

– არა, ამ თემაზე ბიჭებს უკვე ვესაუბრე. რაც უნდა იყოს, ესპანეთი ჩვენზე ერთი თავით მაღლა იდგა და მარცხისგან ტრაგედიას არ ვქმნით. ქართველებს დაახლოებით ჩვენი დონის გუნდი ჰყავთ და გამარჯვებას შევეცდებით.

***– ფინეთისა და საქართველოს ფრედ დასრულებულ თამაშზე რას იტყვით?***

– საერთოდ, ვცდილობ, მეტოქეებზე ნაკლებად ვილაპარაკო. აუცილებლად უნდა მოვუგოთ ერთსაც და მეორესაც.

***– ბელარუსის ნაკრებს დაცვითი ტაქტიკისთვის აკრიტიკებენ.***

– არ ვფიქრობ, რომ აქცენტს დაცვაზე ვაკეთებთ. საქართველოსთან მატჩში ბურთს მეტოქეზე უფრო ხშირად ვფლობდით. ასევე, შევეცადეთ საფრანგეთთან ტოლ-სწორად გვეთამაშა.

***– რა ცვლილებები იგეგმება შემადგენლობაში საქართველოსთან მატჩში?***

– რა თქმა უნდა, ცვლილებები იქნება. დაველოდები, ექიმები რას იტყვიან. გარდა ამისა, მოედანზე ზოგიერთი ის ფეხბურთელი გავა, რომელიც ესპანეთთან დავასვენე.

***– შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფიდან გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგულია?***

– არაერთხელ ვთქვი, რომ შანსები თავიდანვე ძალიან მცირე იყო. ამის გამო ხშირად მაკრიტიკებდნენ. თუმცა, მოდი, სიმართლეს თვალებში შევხედოთ: განვლილი 20 წლის განმავლობაში შესარჩევ ჯგუფში მე-3 ადგილი მხოლოდ ერთხელ დავიკავეთ. ასე რომ, ახლა მე-3 ადგილს ვუმიზნებთ, რათა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრაზე უკეთესი განთესვა მივიღოთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ლიტვაში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს

ლიტვაში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს. ადგილობრივი მედიის ცნობით, არჩევნების პარალელურად ატომური ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით რეფერენდუმიც იმართება.

ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნები 08:00 საათზე გაიხსნა და 20:00 საათზე დაიხურება.

მოქალაქეებმა ოთხწლიანი ვადით 141 დეპუტატი უნდა აირჩიონ. სეიმში მოსახვედრად 1927 კანდიდატი იბრძვის. ლიტვის 71 საარჩევნო ოლქში 2 ათასამდე უბანია გახსნილი. ლიტვის რესპუბლიკაში არჩევნების შერეული სისტემა მოქმედებს, რომლის თანახმადაც, 71 დეპუტატს ერთმანდატიან ოლქებში ირჩევენ, 70-ს კი – პარტიული სიით.

ერთმანდატიან ოლქებში კი არჩევნებიდან ორ კვირაში მეორე ტური იმართება. არჩევნებში 27 პარტია მონაწილეობს.

პარლამენტში მოსახვედრად პარტიებმა 5%-იანი ბარიერი უნდა გადალახონ, ხოლო კოალიციებმა – 7%-იანი.

არჩევნების პარალელურად ლიტვაში ეგზიტპოლებიც ტარდება.

„ბიბისის“ ცნობით, ამჟამინდელი ხელისუფლება სასტიკ ეკონომიკურ ზომებს მიმართავდა, რასაც მასობრივი უკმაყოფილება მოჰყვა.

ლიტვის რესპუბლიკის სეიმი ლიტვის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა.

სეიმი შედგება ერთი პალატისაგან, რომლის შემადგენლობაშიც საყოველთაო, თანასწორუფლებიანი, ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული 141 დეპუტატია, მათგან 71 დეპუტატს ირჩევენ ერთმანდატიანი ოლქებიდან მაჟორიტარული სისტემით, 70-ს კი – პროპორციული სიით 5 %-იანი ბარიერის გადალახვის შედეგად. ლიტვის კონსტიტუციის მეხუთე თავის მიხედვით სეიმის დეპუტატად აირჩევა ლიტვის მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ლიტვაში.




სეიმი ყოველწლიურად იკრიბება ორჯერ – საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე. საგაზაფხულო სესია იწყება 10 მარტს და გრძელდება 30 ივნისამდე. საშემოდგომო სესია კი იწყება 10 სექტემბერს და მთავრდება 23 დეკემბერს. რიგგარეშე სესიის მოწვევა შეუძლია პარლამენტის თავმჯდომარეს დეპუტატების საერთო რაოდენობის 1/3-ის მოთხოვნით ან პრეზიდენტს.

სეიმის სხდომას უძღვება სეიმის თავმჯდომარე (2000-2006 წწ. არტურას პაულაუსკასი, 2006 წლიდან ვიქტორას მუნტიანასი) ან მისი მოადგილე. ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას ხსნის და უძღვება ასაკით ყველაზე უფროსი წევრი.

1990 წლის 24 თებერვალს მოწვეულმა სეიმმა 1990 წლის 11 მარტს გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა, მას ლიტვის ისტორიაში ეწოდა „აღმდგენი სეიმი“. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა 1992 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, მეორე სეიმი მოწვეულ იქნა 1996-2000 წლებში. ამჟამად მოქმედებს მეხუთე მოწვევის სეიმი, რომელიც აირჩიეს 2008 წელს და რომლის უფლებამოსილების ძალაც გრძელდება 2012 წლამდე.

# აშშ-ის ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატი ბარაკ ობამას პოლიტიკას აკრიტიკებს

გაეროს მეშვეობით სირიის სიტუაციის გადაწყვეტის ძებნა არაპროდუქტიული აღმოჩნდა. აშშ არ უნდა დალოდებოდა რუსეთის მხრიდან თანხმობას, – განაცხადა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიდან პოლ რაიანმა მოქმედ ვიცე-პრეზიდენტთან ჯო ბაიდენთან გამართული ტელედებატების დროს.



დებატებისას მისი მონაწილეები შეეხნენ აშშ-ის პოლიტიკის საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებას და საგარეო პოლიტიკას.

– იმის ნაცვლად, რომ ასადისთვის რეფორმატორი გვეძახა, ჩვენ უნდა გვემუშავა სირიელ დისიდენტებთან ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე. ჩვენ არ უნდა დავლოდებოდით, რუსეთის მწვანე შუქს, რათა რაღაცის კეთება დაგვეწყო, – განაცხადა რაიანმა.

მისივე თქმით, დროში გაჭიმული ომი შესაძლებლობას აძლევს ისეთ ორგანიზაციას, როგორიცაა „ალ-ქაიდა“, შეაღწიოს ქვეყანაში.

– თუ ბაშარ ასადის რეჟიმი არ დაემხობა, ეს გააძლიერებს ირანის პოზიციებს რეგიონში, – განაცხადა რაიანმა. მან ასევე აღნიშნა, რომ არავინ აპირებს სირიაში სახმელეთო ჯარების შეყვანას და ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნება.

ბაიდენმა კი, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ბარაკ ობამას ოპონენტები ბევრს საუბრობენ სირიაში თეთრი სახლის პოლიტიკის ჩავარდნაზე, მაგრამ არავითარ ალტერნატიულ გზებს თავად არ სთავაზობენ.

ბაიდენი დარწმუნებულია, რომ აშშ-ს არსებულ ვითარებაში მორიგი ომის წარმოება სავსებით არ სჭირდება.

მეტოქეები ერთმანეთის წინააღმდეგ ფაქტებით საუბრობდნენ და ქვეყნის მომავალი განვითარების შესახებაც სრულიად განსხვავებული ხედვები წარმოადგინეს.

„სი-ენ-ენ-მა“ პარალელურად გამოკითხვა აწარმოა, სადაც რაინმა გამოკითხულთა 48%-ის სიმპათია დაიმსახურა, ბაიდენმა კი – 44%-ის.

რაინმა საგარეო და საშინაო საკითხებთან მიმართებაში მისი მიდგომებით საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამერიკის მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ქვეყანა არასწორი მიმართულებით წაიყვანა, რომელმაც ვერ შეძლო ეკონომიკის გაჯანსაღება და ამერიკის გავლენაც მსოფლიოს მასშტაბით შესუსტდა.

– არჩევანი ნათელია: ან უძრავი ეკონომიკა ან დინამიკური, მზარდი ეკონომიკა, რომელიც შესაძლებლობების და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს, – აღნიშნა რაიანმა.

მან ბოლოდროინდელ ამერიკის საელჩოებზე განხორციელებულ თავდასხმებზეც ისაუბრა და განაცხადა: „ის, რასაც ჩვენ ტელევიზიის საშუალებით ვუყურებთ, ობამას საგარეო პოლიტიკის შედეგია“.

თავის მხრივ, ბაიდენმა აღნიშნა, რომ ის რეფორმები, რომლის გატარებასაც მიტ რომნი და რაიანი აპირებენ, ამერიკის საშუალო კლასს დააზარალებს და მდიდრების სასარგებლოდ იმოქმედებს.

რაც შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატების დებატებს, პირველი დებატები 3 ოქტომბერს შედგა. დებატის დროს „სი-ენ-ენ-მა“ მაყურებელთა გამოკითხვაც აწარმოა, რომელთა 67 %-მა დებატებში რომნის დაუჭირა მხარი, 25 %-მა კი – ობამას. როიტერის გამოკითხვის მიხედვით კი რესპონდენტთა 90% ფიქრობს, რომ მიტ რომნიმ გაცილებით უკეთ ისაუბრა, ვიდრე მოქმედმა პრეზიდენტმა. დებატებზე მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ რომნი რეიტინგებით ობამას მიუახლოვდა და მას მხოლოდ 2%-ით ჩამორჩება. როიტერის რეიტინგების მიხედვით, ობამას – გამოკითხულთა 46%, ხოლო რომნის 44% უჭერს მხარს. მიტ რომნის რეიტინგის ასეთ მატებას ბოლო ტელედებატებს უკავშირებენ, რომელიც 3 ოქტომბერს ჩატარდა.

მომავალი დებატები ობამასა და რომნის შორის 16 ოქტომბერს, ნიუ იორკში გაიმართება.

რაც შეეხება პოლ დევის რაიანს (დ. 29 იანვარი, 1970), აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრია ვისკონსინის შტატიდან. რესპუბლიკელების პრეზიდენტობის კანდიდატ მიტ რომნის მიერ დასახელებულ იქნა ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ამჟამად არის აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე.

რაიანი დაიბადა და გაიზარდა ვისკონსინის შტატის ქალაქ ჯეინსვილში. დამთავრებული აქვს მაიამის უნივერსიტეტი ოჰაიოში.

# ლატვიის პრეზიდენტმა თანამემამულეებს რუსული ენის შესწავლისკენ მოუწოდა

ლატვიის პრეზიდენტმა ანდრის ბერზინშმა თანამემამულეებს რუსული ენის შესწავლისკენ მოუწოდა, – იუწყება „ბიბისი“.

წყაროს ცნობით, მან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის პროცესში უცხო ენების სწავლის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ხაზი განსაკუთრებით რუსული ენის როლს გაუსვა, რომლის ცოდნაც ქვეყნის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულ საწარმოებთან საქმიანობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„არ შეიძლება იმაზე ფიქრი, რომ ყველაფერი ლატვიურ ენაზე უნდა იყოს და იმის იმედი, რომ ამგვარი მიდგომით მსოფლიოში ჩვენს ადგილს დავიკავებთ. ტრანზიტთან დაკავშირებულ სფეროებში ლატვიურის, ინგლისურის, გერმანულისა და რუსული ენების ცოდნა აუცილებელი უნდა გახდეს“, – განაცხადა ანდრის ბერზინშმა.

ცნობისთვის, ლატვიის მოსახლეობა – 2,245,357 (2010), მათ შორის – ლატვიელები 59.49%, რუსები 27.37%, ბელორუსები 3.52%, უკრაინელები 2.45%, პოლონელები 2.31%.

სახელმწიფო ენა: ლატვიური. გავრცელებული ენები: ლიტვური, რუსული.

# აშშ რუსეთს სირიისათვის ტვირთების მიწოდების გამო აკრიტიკებს



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთის მიერ სირიისთვის ტვირთების მიწოდებას ბაშარ ასადის რეჟიმის მიმართ „მორალურად არშემდგარი“ პოლიტიკის გამოვლინებად მიიჩნევს. ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთის ქმედება არ არის საერთაშორისო ნორმების დარღვევა, რადგანაც მოსკოვმა და პეკინმა ადრე არაერთხელ დაბლოკეს გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციები სირიის წინააღმდეგ.

– მაგრამ ასეთი პოლიტიკა მორალურად გაუმართლებელია, – განაცხადა ნულანდმა.

მისი თქმით, აშშ სერიოზული შეშფოთების მიზეზად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ „ასეთი სახის ქმედებების გრძელდება გაეროს უშიშროების წევრი სახელმწიფოს მხრიდან“.

– ჩვენ უკვე წელიწადზე მეტია ვსაუბრობთ, რომ არც ერთი პასუხისმგებლობის მქონე ქვეყანა არ უნდა დაეხმაროს ასადის რეჟიმის სამხედრო მანქანას, – განაცხადა ნულანდმა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთმა თავის ტერიტორიაზე იძულებით დასვა თვითმფრინავი, რომელიც მოსკოვიდან დამასკოში მიფრინავდა. თვითმფრინავში სირიის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემისათვის საჭირო ელექტრო მოწყობილობები იყო ჩატვირთული.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით კი თვითმფრინავში რადიოლოკაციური სისტემებისთვის განკუთვნილი ელექტრომოწყობილობები იდო, რაც გაეროს კონვენციით აკრძალული არ არის.

– მართალია, ეს სისტემები გაეროს კონვენციით აკრძალული არ არის, მაგრამ რუსეთმაც და ჩინეთმაც სირიის რეჟიმს მხარი დაუჭირეს და სანქციების მიღება სირიის წინააღმდეგ დაბლოკეს, ასეთი პოლიტიკა მაინც ამორალურია, – აცხადებს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ვიქტორია ნულანდი.

– სირიაში კონფლიქტის კიდევ ნახევარი წლით გაგრძელება ზრდის ქვეყანაში სამოქალაქო ომის რისკს, რასაც გარდაუვალი ქაოსი მოჰყვება, – ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა.

მისი თქმით, ასადი უნდა წავიდეს და ქვეყანაში მოხდეს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა.

– რაც უფრო ადრე წავა ასადი, მით უფრო უსაფრთხო იქნება სირიაში ხელისუფლების გადაცემის პროცესი, – განაცხადა ოლანდმა.

შეგახსენებთ, რომ სირიაში 2011 წლის მარტში დაწყებულ დაპირისპირებას, გაეროს მონაცემებით, 19 ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ნობელის პრემია ევროკავშირს მიენიჭა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მედლისაგან, რომელზეც გამოსახულია ნობელი, დიპლომისა და ფულადი თანხის ჩეკისაგან; თანხის ოდენობა განისაზღვრება ნობელის პრემიის ფონდის შემოსავლით (როგორც წესი, 30-70 ათასი დოლარი).

ანდერძის შესაბამისად ნობელის პრემიის მინიჭების უფლება აქვს სტოკჰოლმის სამეფო მეცნიერებათა აკადემიას (ფიზიკისა და ქიმიის დარგში, მემორიალური პრემია ეკონომიკის დარგში – 1968), კაროლინის სამეფო სამედიცინო – ქირურგიის ინსტიტუტს სტოკჰოლმში (ფიზიოლოგიასა და მედიცინაში) და შვედეთის აკადემიას სტოკჰოლმში (ლიტერატურის დარგში), ნორვეგიაში ნობელის პრემიას მშვიდობის განმტკიცებისათვის ანიჭებს ნორვეგიის პარლამენტის მიერ დანიშნული ნობელის კომიტეტი.

ნობელის პრემიას ანიჭებენ ცალკეულ პირებს და მხოლოდ ერთხელ (არსებობს გამონაკლისიც, მაგალითად მარი სკლოდოვსკა-კიურიმ ნობელის პრემია მიიღო ორჯერ – 1903 და 1911). ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი იმართება სტოკჰოლმსა და ოსლოში ყოველი წლის 10 დეკემბერს – ა. ნობელის გარდაცვალების დღეს, რომელიც ნობელის დღედაა გამოცხადებული. ნობელის პრემიის მინიჭება დაიწყო 1901 წელს.

ნობელის პრემია მიენიჭა: ფიზიკისა და ქიმიის დარგში – ვ. რენტგენს (1901), მ. პლანკს (1918), ა. აინშტაინს (1921), ნ. ბორს (1922), ე. რეზერფორდს (1908), ლევ ლანდაუს (1962) და სხვებს. ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში – ი. პავლოვს (1904), რ. კოხს (1905) და სხვებს. ლიტერატურის დარგში – რ. თაგორს (1913), რ. როლანს (1915), თ. მანს (1929), მ. შოლოხოვს (1965) და სხვებს.

## TV პროგრამა

**ოიშაბათი 15 ოქტომბეიი**

**საზოგადოებრივი არხი** 7.30 "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** მოამბე **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00,17.00** დოკ. ფ. **18.00** სერ. **"პეპე და მეგობრები"** **19.05** სერ. **"ცოდვა და სირცხვილი"** **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** "დიალოგი დ.პაიჭაძესთან" **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა. **23.30** მედიამონიტორი. **00.30** საფარი **01.20** მხ.ფ. **"სიამაყე და დიდება"** (კ. ფარელი) **03.30** მხ.ფ. **"ინტიმური ლექსიკონი"** (ჯ. ალბა) **05.30** მხ.ფ. **"მისის სტოუნის ლომაული გაზაფხული"**

**მეორე არხი** **08.00** დოკ. ფ. "მსრფლიოს ქალაქები – მარაკეში". **09.00** მხ.ფ. **"უცხო გული"**. **10.30** მხ.ფ. **"ყასაბის ცოლი"**. **12.25** მხ.ფ. **"ცამეები როდანტაში"** **13.55** დოკ.ფ. "სამყარო". **15.00, 17.00, 20.00, 23.00** ბრიფინგის დრო **16.00** დოუ.ფ. "უძველესი აღმოჩენები" **19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ.ფ. **"მომაკვდინებელი დრო"**

**იმედი** **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00,13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00, 05.00** ქრონიკა. **08.25** ან.ფ."ტიმონი და პუმბა" **09.25** სერ.**"დათარსული კვირა"** **10.10** სერ.**"იღბლიანი მოახლე"** **11.45** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **13.10** სერ **"გაქცევა"** **14.45, 15.10** სერ. **"თვალი არ მომაცილო"** **16.10** სერ. **"მოჯადოებული"** **17.45** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **01.25** მხ. ფ.**"ერთი სამეგობროს ამბავი"** (ა. გარსია) **03.00** მხ.ფ. **"მაროკოელი ტერორისტი"** (რ. ფილიპი) **04.25** მხ.ფ. **"დამცველი"** (დ. ლუნდგრენი) **06.05** მუსიკა.

**რუსთავი 2** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ.**"ქალის მსხვერპლი"**. **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"**. **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები. **13.00** შუა დღე. **15.30** შერეკილები **17.00** სერ.**"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50, 20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** მხ.ფ. **00.30** MTV PUNK'D **01.00** მხ.ფ. (ტიტ.) **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**მზე** **08.00** ან. ფილმი "საოცარი მითები და ლეგენდები". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. **12.15** სერ. **"ნათლიმამას ისტორია"** **13.00** მხ. ფ. **15.15** პულსი **15.45** დოკ. ფ. "ექსტრემალური ამბები" **17.10** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **18.00** მხ. ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფ. **00.05** მხ. ფ.

**აჭარა** **08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 02.10** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** დოკ.სერ. **10.30** დოკ.ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"საგა"** **12.50, 19.35** სერ. **13.50 1000** წვრილმანი. **15.15** დოკ.ფ. **16.00** დოკ.ფ. **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ.ფ. **23.00** მხ.ფ. **"ერთი მუჭა დოლარისთვის"** **00.35** მხ.ფ.**"შეშლილი ექვსიანი"**

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.05, 15.05, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.10, 12.05, 18.55, 21.55, 00.05, 00.30** ისტორიის დღიური. **10.15** პატრიარქის ქადაგება. **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი. **12.10** მხ. ფილმი **"ფიროსმანი"**. **13.35** კონცერტი – გოგი გელოვანის სახ. სიმღერის ფესტივალი. **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **15.05, 18.53, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი. **15.35** სპექტაკლი **"ჰაკი აძბა"** **16.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება". **17.20** დოკყ ფ. "განცხადებული სასწაულები. **18.10** გუთნისდედა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **18.55** ერთი ნივთის ისტორია. **19.00** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი **"გასეირნება თბილისში"**. **20.40** ძილი ნებისა **21.05** ფატრიარქის ქადაგება. **21.15** საღვთისმეტყველო საუბრებიყ **22.00** სიახლენი **22.25** დოკ. ფილმი "წმინდა მოწამენი დავითი დფ კონსტანტინე" **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** დოკ. ფილმი "ვარდისფერი კაცი" **00.10, 02.30** სიახლენი. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

ნ oqtomberi


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6461

ევრო — 2,1261

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 24-27, ღამით — 10-18

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 26-30, ღამით — 14-19

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 20-22, ღამით — 6-10

**ამინდის პროგნოზი 15 ოქტომბრისთვის**




# 15 ოქტომბრიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან" ერთად

## „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" ოთხტომეულის პირველი ტომი

# 29 ოქტომბრიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან" ერთად

## „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" ოთხტომეულის მე-2 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად - 8 ლარი**

# 18 oqtombridan!

**ახალ თაობასთან" ერთად**

hxtekb mfhsekb

pqfght,b

ტომი 1

# ზიზუმ კლუბის აქციები იყიდა



ესპანური გამოცემა „მარკას" ცნობით, საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა, ამჟამად მადრიდის „რეალის" მრჩეველმა ზინედინ ზიდანმა საფრანგეთის მეოთხე დივიზიონის კლუბის „როდეზ ავერონის" აქციები შეიძინა.

კლუბი იმ ქალაქშია, სადაც ზიდანის ცოლის მშობლები ცხოვრობენ. „როდეზ ავერონის" აქამდე რამდენიმე ადგილობრივი მეწარმე და ყოფილი ფეხბურთელი ინახავდა. გამომცემლობის ცნობით, 40 წლის ფეხბურთელი რამდენიმე თვის წინ დაჰპირდა გუნდს ფინანსურ დახმარებას და ამჟამად საერთოდ მისი ერთ-ერთი მფლობელი გახდა.

ვნახოთ, რამდენად წარმატებული გამოდგება მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელისთვის ახალი ამპლუის მორგება და რამდენად ნიჭიერი იქნება ამ საქმეში.

სხვათა შორის, ზიდანს ამ საქმეში ჩახედული პარტნიორი უნდა ჰყავდეს — კლუბის ნაწილი აქციების მფლობელი საფრანგეთის ნაკრების ასევე ყოფილი ფეხბურთელი ოლივიე დაკურია.

მ. ჟ.

·ღტჯფვ უფბსღფჯბცობყტს=

fcnhjkjuyjb !% xmbxj3,ჰბცსღბც

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — დიდი წარმატება გელოდებათ, მზად იყავით! **კურო** — სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი, ბედი გწყალობთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ქალწული** — ახალი პროექტი გაამართლებს, მოემზადეთ. **სასწორი** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **ღრიანკალი** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოასწრებთ. **მშვილდოსანი** თავს ნუ იდანაშაულებთ, ბრალი სხვას მიუძღვის. **თხის რქა** — ფულს ნუ დახარჯავთ, შემოინახეთ. **მერწყული** — გახარებული ხართ, ამის მიზეზი გაქვთ. **თევზები** — ახალ საქმეს შემოგთავაზებენ, რომელიც სწორედ თქვენ შეგეფერებათ.

უბცეჰღტ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=

# ნობელის პრემია ევროკავშირს მიენიჭა

2012 წლის ნობელის პრემია ექვსი ათეული წლის განმავლობაში ევროპაში მშვიდობის გაძლიერებისთვის ევროკავშირს მიენიჭა.

ნობელის კომიტეტის განცხადებით, ჯილდოს მინიჭების მიზეზი გახდა ევროკავშირის ქმედებები, რომლებიც ახალი ომების აღკვეთას, ასევე კონტინენტზე ვითარების სტაბილიზებას ეხება.




აღნიშნული პრემია განიხილება, როგორც ევროკავშირის მხარდაჭერა, ფინანსური კრიზისის დროს.

ნობელის პრემიის ოდენობა 1,2 მილიონ დოლარს შეადგენს და მისი გადაცემის ცერემონია ოსლოში, 10 დეკემბერს გაიმართება.

ნობელის პრემია, ყოველწლიური საერთაშორისო პრემია, სახელი ეწოდება მისი დამაარსებლის, შვედი ინჟინრის, ქიმიკოსის, გამომგონებლისა და მრეწველის ალფრედ ბ. ნობელის პატივსაცემად.

ნობელის ანდერძის მიხედვით, მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ კაპიტალს უნდა შეედგინა ნობელის პრემიის ფონდი. პრემია ენიჭება რასის, ეროვნების, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად კანდიდატებს ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა და ფიზიოლოგიის, მხატვრული ლიტერატურის დარგში მნიშვნელოვანი და უახლესი მიღწევებისათვის. პრემია შედგება ოქროს

გაგრძელება მე-11 გვერდზე

hჰχცღχჰლბ ღ

**თარაზულად:** 6. სხვადასხვა პოპულარული სიმღერებისგან შედგენილი მუსიკალური ნაწარმოები; 7. ურანის თანამგზავრი; 8. მისამართი (ძვ.); 10. სასეირნო-ტურისტული გემი; 11. ქალაქი ამერიკაში; 13. ოთხი მუსიკოსის ანსამბლი; 16. ძველებური სამხედრო ქუდი; 19. ზოგიერთი ორგანოს ქსოვილის კვდომის კერა; 20. გარკვეული წესით დალაგებული საგნების სია.

**შვეულად:** 1. სასაზღვრო დაცვის ხაზი; 2. მოყავისფრო კანფეტი; 4. პრემია, რომელსაც უხდიან გემის მფლობელს ტვირთის დროზე ადრე ჩატვირთვა-გადმოტვირთვისთვის; 5. ქურუმი ძველ საბერძნეთში; 9. ავადმყოფის ოთახი საავადმყოფოში; 12. ხმის რხევა სიმღერისას; 14. ხის მწვანე ბაყაყი; 15. სასვენი ნიშანი; 17. საზეიმო წვეულება; 18. პანტომიმის მსახიობი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




# კინოს სახლში ფედერიკო ფელინის ფილმებს უჩვენებენ

ეკა ირემაშვილი

კინოს სახლში ცნობილი იტალიელი კინორეჟისორის ფედერიკო ფელინის ფილმების კვირეული გაიმართება. კვირეული 15 ოქტომბერს გაიხსნება და 21 ოქტომბრამდე გაგრძელდება.



ფელინის ნამუშევრების კვირეული გაიხსნება ფილმით „თეთრი შეიხი", რომელშიც ალბერტო სორდი, ბრუნელა ბოვა და ლეოპოლდო ტრიესტე მონაწილეობენ. კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ფილმები „და მიცურავს გემი" (მონაწილეობენ ფრედი ჯოუნსი, ბარბარა ჯეფორდი, ვიქტორ პოლეტი, ჯანეტ ზუსმანი), „გზა" (მონაწილეობენ ჯულიეტა მაზინა, ენტონი ქუინი), „ქალთა ქალაქი" (მონაწილეობენ მარჩელო მასტროიანი, ანა პრუცკა, ბერნის სტიჯერსი), „ინტერვიუ" (მონაწილეობენ სერჯიო რუბინი, მარჩელო მასტროიანი, ანიტა ეკბერგი), „ჯინჯერი და ფრედი" (მონაწილეობენ მარჩელო მასტროიანი, სოფი ლორენი). ფედერიკო ფელინის კინოჩვენებების კვირეული დაიხურება ფილმით „ფელინის კაზანოვა", რომელშიც მონაწილეობენ დონალდ საზერლენდი, თინა ომონი ჯონ კარლსენი, მარგარეტ კლემენტი.

იტალიელი კინორეჟისორი და სცენარისტი ფედერიკო ფელინი მსოფლიო კინოს დიდ ბავშვად არის მიჩნეული. იგი კინომოყვარულთათვის ცნობილია მისთვის დამახასიათებელი გამორჩეული სტილით, რომელიც ფანტაზიის, მოგონებების, სიზმრებისა და ბაროკოს ერთგვარი ნაზავია. „მე რომ გადამეღო ფილმი თავზე წასაკრავ ლანჩის ზონარზე, ისიც კი ჩემზე იქნებოდა", — ამბობდა რეჟისორი.

მას XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და საყოველთაოდ

გაგრძელება მე-10 გვერდზე